645 1982/3

ეროვნული ბიბლიოთეკა




# საქართველოს ქალი

LSSN 0321-1509

8
1982

ЗНАК ПОЧЕТА



იალაღებზე

დ. იაკობაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



17486

# სსრ კავშირის ქალთა კომიტეტის მიმართვა

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილ II სპეციალურ სესიას

სსრ კავშირის მილიონობით ქალის სახელით, რომლებიც დიდად არიან შეშფოთებული იმის გამო, რომ მსოფლიოში ომის საფრთხე იზრდება, სსრ კავშირის ქალთა კომიტეტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილი II სპეციალური სესიის მონაწილეებს მოუწოდებს განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა თავიდან ააცილონ კაცობრიობას ბირთვული ომის საფრთხე.

მშვიდობის საფრთხეს უწინარეს ყოვლისა გამალებული შეიარაღება შეიცავს. 70-იანი წლების დამლევიდან იმპერიალიზმის აგრესიული ძალების მიზეზით ახალი ძალით გაჩაღდა შეიარაღების ზრდა, ამასთან მკვეთრად აქტიურდება მილიტარისტული პროპაგანდა, კერძოდ, იმის პროპაგანდა, რომ შესაძლებელი და დასაშვებია „შეზღუდული" ბირთვული ომი.

შეჩერდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი, რომლის განვითარებამ წინა ათწლეულში საშუალება მისცა ხალხებს მომავლის იმედით ეცხოვრათ. შეუსრულებელი აღმოჩნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილი I სპეციალური სესიის რეკომენდაციები, შეწყდა მოლაპარაკება შეიარაღების შეზღუდვის უმნიშვნელოვანეს მიმართულებათა თაობაზე, ჩაიშალა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის II ხელშეკრულების რატიფიკაცია, ფერხდება ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების დადების საკითხზე მოლაპარაკების განახლება, რომელზეც 1980 წელს უკვე იყო მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი. ერთ წერტილზე გაიყინა ვენის მოლაპარაკება ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ.

სწორედ ეს მილიტარისტული ძალები აღვივებენ საერთაშორისო დაძაბულობის კერებს სპარსეთის ყურის, ინდოეთის ოკეანის რაიონში, ახლო და შუა აღმოსავლეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სამხრეთ აფრიკასა და ცენტრალურ აფრიკაში. საომარი კონფლიქტის ახალი საშიში კერა შეიქმნა სამხრეთ ატლანტიკაში.

სამხედრო ხარჯები უმთავრესად იზრდება სოციალური საჭიროებისათვის ასიგნებათა შემცირების ხარჯზე. დასავლეთის ბევრ ქვეყანაში მცირდება განათლების, მედიცინის, საბინაო მშენებლობის, კომუნალური მომსახურების სახელმწიფო ხარჯები. და ასეთი პოლიტიკის შედეგები ხომ მძიმე ტვირთად აწვება უწინარესად ქალებსა და ბავშვებს!

აგრესიული ძალების, უპირველესად, ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით ნატოს ბლოკის აგრესიული პოლიტიკა აიძულებს სსრ კავშირის მთავრობას განახორციელოს ღონისძიებანი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის სათანადო დონეზე შენარჩუნებისათვის ეს დღევანდელი მსოფლიოს მკაცრი აუცილებლობაა. და იგი მოითხოვს არცთუ მცირე სახსრებს ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობის გეგმების საზიანოდ.

ამასთანავე გამალებული შეიარაღება, რომელიც გრძელდება, პრაქტიკულად განუხორციელებელს ხდის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალის ათწლეულის სამი ურთიერთდაკავშირებული ლოზუნგის — თანასწორობის, განვითარების, მშვიდობის — რეალიზაციას, რადგან მსოფლიო ეკონომიკას აკლდება უდიდესი საწარმოო ძალები, ფასდაუდებელი ადამიანთა და მატერიალური რესურსები. განიარაღების ქმედითი ღონისძიებების განხორციელება საშუალებას მოგვცემდა სამხედრო მიზნებით დასაქმებული მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი გამოგვეყენებინა კაცობრიობის ყოველდღიური საჭიროებებისათვის შიმშილის, სიღატაკისა და უწიგნურობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც ტანჯავს ასმილიონობით ადამიანს, უპირველეს ყოვლისა განვითარებად ქვეყნებში. ეს საშუალებას მოგვცემდა არსებითად გაგვეზარდა მოსახლეობის დასაქმება, შეგვემცირებინა მშრომელთა საგადასახადო ტვირთი, გაგვეუმჯობესებინა საბინაო პირობები, აგვემაღლებინა საშუალო და უმაღლესი განათლების დონე.

სსრ კავშირის ქალთა კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მისი სპეციალიზებული დაწესებულებების, საერთაშორისო და ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციების ღონისძიებებს გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისა და დაძაბულობის შენელების განვითარების რელსებზე მსოფლიოს გაერთიანების დაბრუნებისათვის. იგი აქტიურად მონაწილეობს ყველა ღონისძიებაში, რომლებიც ეწყობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების მეორე ათწლეულის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალის ათწლეულის ფარგლებში.

ჩვენ ვიცით, რომ განიარაღება რთული და ძნელი პროცესია. საჭიროა სახელმწიფოთა და მთავრობათა ნება და მზადყოფნა კონსტრუქციული დიალოგისა და მორიგებებისათვის.

ქალთა სხვა საერთაშორისო და ეროვნულ ორგანიზაციებთან ერთად, პლანეტის მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად, სსრ კავშირის ქალთა კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მიღწეულ იქნეს რეალური შედეგები გამალებული შეიარაღების ალაგმვასა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებაში, რადგან ეს ამოცანა ამჟამად თანამედროვეობის გადაუდებელი, მთავარი პრობლემაა.

საბჭოთა ქალები ცდილობენ მეტი წვლილი შეიტანონ მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლაში, აწყობენ კამპანიებს მშვიდობის



„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოწოდების ხელმოწერათა შესაგროვებლად, დგანან სპეციალურ „მშვიდობის ვახტებზე", აგროვებენ სახსრებს საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდში, შეუნელებელ ყურადღებას უთმობენ მშვიდობისა და ხალხთა ურთიერთგაგების სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდას. ისინი აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო ღონისძიებებში, რომელთა მიზანია ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილება.

სსრ კავშირის ქალები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ უჭერენ მხარს თავიანთი მთავრობის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას გამალებული შეიარაღების ალაგმვისა და განიარაღებისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილი I სპეციალური სესიის შემდეგ განვლილ პერიოდში საბჭოთა კავშირმა შეიტანა 20-მდე კონსტრუქციული წინადადება, რომლებსაც აერთიანებს ერთი მიზანი — ყველაფერი იღონონ, რათა ხალხებს თავიდან ააცილონ ბირთვული ომის საფრთხე, შეინარჩუნონ მშვიდობა. ამას ასახავს მიზნად საბჭოთა კავშირის კონკრეტული ღონისძიებანი ჩვენი ქვეყნის ევროპულ ნაწილში საშუალო სიშორის რაკეტების შემდგომი განლაგების ცალმხრივი შეწყვეტისათვის. დაიწყო ასეთი რაკეტების მნიშვნელოვანი რიცხვის შემცირება, აგრეთვე გამოთქმულია მზადყოფნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად გაყინონ სტრატეგიული შეიარაღება რაოდენობრივი თვალსაზრისით და მაქსიმალურად შეზღუდონ მისი მოდერნიზაცია.

მილიონობით საბჭოთა ქალი მთელ საბჭოთა ხალხთან, პლანეტის ყველა საღად მოაზროვნე ადამიანთან ერთად მოითხოვს: შეწყდეს ბირთვული სიგიჟე! ძირს მილიტარიზმი და იარაღი! ჩვენ გვსურს მშვიდობა, ურთიერთგაგება და თანამშრომლობა კაცობრიობის საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრაში! დაე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილი II სპეციალური სესია გახდეს სტიმული სახელმწიფოთა მოქმედებისათვის გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების დარგში, იქცეს ნიშანსვეტად განიარაღების შესახებ მსოფლიო კონფერენციის მოწვევის გზაზე, იყოს შემობრუნების პუნქტი თერმობირთვული მოსპობის საფრთხისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისათვის მსოფლიო ბრძოლაში!

მიღებულია სსრ კავშირის ქალთა კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე.

სსრ კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე

ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა.

კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები.

მოსკოვი,
1982 წლის 27 მაისი.

## სასურსათო პროგრამა — № 1 ამოცანა



# პატრიოტები

იმ ადამიანებზე გესაუბრებით, რომლებიც გამუდმებით, ყოველდღე, ყოველ საათს თავიანთ სამუშაოზე ფიქრობენ. ეს არის ფიქრი — სასურსათო პროგრამის განხორციელებაზე, სოფლის, რაიონის, რესპუბლიკის, მთელი ქვეყნის დოვლათის დაგროვებაზე, იმაზე, რომ ამაღლდეს ხალხის მატერიალური ცხოვრების დონე, დატრიალდეს სიუხვე და ბარაქა, ვერაფერი დაგვაკლოს სეტყვამ, გვალვამ, ქარაშოტმა და წყალდიდობამ.

## უგანრიგო ბრიგადა

დადიოდა სოფელში ერთი ახალგაზრდა კაცი, გვარად ჩიტრეკაშვილი და უკვირდებოდა ცხოვრებას. არაფერი გამოდიოდა მისი სოფლელების, მეზობლების ცდიდან, — სოფელს უჭირდა, ხალხს უჭირდა, მეურნეობა კი, რომელიც რძის პროდუქტებსა და ბოსტნეულს აწარმოებდა, ზარალიანი იყო.

— „რატომ ვართ ჩამორჩენილნი? — ეკითხებოდა ის კაცი თავისთავს. — სოფელი დიდია, 3 ათას კომლზე მეტია დასახლებული, 12 — ათასი კაცი სუნთქავს ამ სუფთა ჰაერს და შესცქერის ტყე-მინდორს.

ხალხს ვერ ვიყენებთ, როგორც საჭიროა. სოფელი თბილისს აკრავს უმცროსი შვილივით, ისე კი თბილისზე უფროსია. წლეულს, შემოდგომაზე ორი ათასი წლისა ხდება. მე-6 საუკუნემდე აკრიანი ერქვა, შემდეგ კი მამა ანტონ მარტყოფელის სამონასტრო მოღვაწეობამ აკრიანს მარტყოფად შეუცვალა სახელი.

„არს ესე მარტოფი ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა, ვითარცა საგურამო ჰავითა მშვენი" — წერდა ვახუშტი ბაგრატიონი.

დღესაც ისეთივეა მარტყოფი, ვენახოვანი, ხილიანი, მშვენიერი ჰაერიანი. მაგრამ მარტყოფელები თბილისში ეძებენ სამუშაოს.

აქაური კაცი არსად არ უნდა მიდიოდეს!

ამას ფიქრობდა ანტონ ჩიტრეკაშვილი და დადიოდა სოფლის მიდამოებში, მთიანსა და ტყიანებში, ახლო დასახლებებზე, სააკაძეში.

ისტორიის მასწავლებელი ჰყავდა დიდებული, მან გაუღვიძა, მარტო ანტონს კი არა, ყველა მარტყოფელს სისხლის ყივილი. ისტორია იყო ბავშვებისთვის ყოველი გათხრილი ნამოსახლარი ე. წ. „გელიაანთ ხევის" მიდამოები, აქ ნაპოვნი ქვევრები, კერამიკის ნიმუშები, სამარხები, სხვადასხვა სახის სამკაულები, ეკლესია-სალოცავები, საცხოვრებელი სახლების ქვითკირის საძირკვლები, ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები.

მაგრამ მასწავლებელი მაინც თავისას აკეთებდა, როცა ყვებოდა, რომ მარტყოფი ომების დროს იყო გმირთაგმირი, თბილისის გადასარჩენად აფარებული ფარი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების დიდი მონაწილე.

ისტორიული 1625 წლის 4 აპრილის ამბები ლექსივით ზეპირად იციან აქაურებმა: ქართველთა ლაშქარმა დიდი მოურავის მეთაურობით ამოჟლიტა ყიზილბაშთა ულევი ჯარი, ყარჩიხა-ხანის ოცდაათათასიანი არმია, და აი, „ულევარაც" ამიტომ დაერქვა ამ ნაომარ ველს, სააკაძეც ამიტომ ეწოდა ახლო დასახლებას.

შენ გაგიმარჯოს, მარტყოფელო კაცო! თუ წინაპრების სისხლი გიდუღს ძარღვში, მოდი, ხელი ხელს მივცეთ, მობრუნდი თბილისიდან და აქ, ამ მიწაზე დადექი მტკიცედ, დაჰკარი ბარი და ნახე, როგორ გადაიშლის მიწა გულს, დაასათუთებს შიგ ჩაგდებულ მარცვალს, ჩითილებს, ნერგსა და ვაზს.

18 ასეთი კაცი ჩიტრეკაშვილთან კედელივით აღიმართა. 18 კაცმა თბილისში ნა[illegible] მხოლოდ მოცალეობისთვის გადა-
დ[illegible] დააკვდა მიწას. შე[illegible]ქმნა გარდაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის რაიონში და, ვგონებ, საქართველოშიც პირველი ისეთი ბრიგადა, რომელიც უგანრიგოდ მუშაობს და მისი ყველა წევრი ერთნაირად დაინტერესებულია უხვი მოსავლით, ერთნაირად გრძნობს პასუხისმგებლობას. ცუღლუტი არცერთი არ შეიძლება გამოერიოს, ვერც გაჩერდება ასეთი კაცი მათთან.

ბრიგადას საკუთარი მექანიზაცია აქვს, რომელსაც ფართოდ იყენებს. ბოსტნეულის მოყვანის აგროტექნიკური რუკის მიხედვით იცის, როდის რა სამუშაოებია ჩასატარებელი. ბოსტნეული ბრიგადას 100 ჰექტარზე მოჰყავს: 50 ჰექტარზე პამიდორი აქვს, ამდენსავე ჰექტარზე კომბოსტო. თუ სხვა ბრიგადებს ჰექტარზე საშუალოდ 186 ცენტნერი პამიდორი და 203 ცენტნერი კომბოსტო აქვთ ასალები, ჩიტრეკაშვილის ბრიგადის წევრები იმავე ფართობზე 250 ცენტნერ პამიდორსა და ამდენივე კომბოსტოს ალებას აპირებენ.

ბრიგადის წევრები თვეში 200 მანეთს იღებენ ავანსად, ბრიგადირი — 250 მანეთს. წლის ბოლოს, როცა მოსავალს გადაჭარბებით ჩააბარებენ, დიდძალი პრემია ხვდებათ. თუ მისცემ უხვ მოსავალს სახელმწიფოს, შინაც ფულს საკმაოდ წაიღებ. ასეთია შრომის ანაზღაურება მარტყოფში. უგანრიგოდ მომუშავე ბრიგადას ყველას თვალი უყურებს, ყველას ყური უსმენს. გაისად კი მიმდევრები გაუჩნდება.

## ქალმა თუ გაიწია...

განსაკუთრებით ქალები არიან დაინტერესებული ჩიტრეკაშვილის ბრიგადის პირველი ნაბიჯებით. ქალებს, ხომ იცით, ცნობისმოყვარეობა დიდი აქვთ. მარტყოფის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის ორ ბრიგადას ქალები უდგანან სათავეში. 35 წელია მარიამ ილურიძე მეხილეთა ბრიგადას მიუძღვის წინ. მას ყველა იცნობს თორმეტათასკაციან სოფელში. რით მოვიდა მარიამი ამ ქვეყნად? ცარიელი ხელებით, ობლობით, მრავალი და-ძმით, მკაცრი მამინაცვლით, შრომისაგან წელში გატეხილი დედით, რომელიც 12 შვილს ზრდიდა და ახალგაზრდა გარდაიცვალა.

მარიამი მინურიდან გამოვიდა. თავის მაგივრად ხომ შრომობდა და, ომში დაკარგული ქმრის მაგივრობასაც ეწეოდა. ასე ზრდიდა ორ მცირეწლოვან ბიჭს. ბავშვები ცის ქვეშ იზრდებოდნენ, მინდორში, იქ ეძინათ და იქ სწოვდნენ ძუძუს, ხოლო როცა მარიამი ხან გუთნის დედა იყო და ხან მეხრე, მისი ტანჯული სახის დანახვაზე ტირილს იწყებდნენ. მარიამს არცა სჯერა, რომ ასე იყო ოდესღაც, მისი ცხოვრების შორეულ წლებში. ვერც წარმოუდგენია ის სიმძიმე, რაც გადაიტანა. რა ყველაფერი შეცვალა მექანიზაციამ მის სოფელში, მის ბრიგადაში! შრომა ახლა დამქანცველი როდია! ტექნიკით ამუშავებს მარიამი ხეხილის ბაღებს, ტექნიკა დობილია მისი და მისიანების — ქეთევან ფრეწუაშვილის, ქეთევან შოშიაშვილის, კიდევ სხვა ჯანიანი და მკლავმაგარი ქალისთვის. 96 ჰექტარ ფართობზე მარიამის ბრიგადის 25 წევრი 150 ტონა ხეხილს მოკრეფს. შეიძლება მეტსაც — ასე ვარაუდობს ბრიგადირი.

ღმერთმა ნუ ქნას, ორი წლის წინანდელი ამბავი განმეორდეს: დაილუპა მოსავალი, ცარიელი ფოთლებიღა ება ხეებს. გეგმა ვერ სრულდებოდა.

— აბა მომყევით, ცხვარიჭამიისა და უჯარმის ტყეებისაკენ, — თქვა ბრიგადირმა და ჭრელი თავსაფრები ჩამწკრივდნენ ფოთლოვანში...

21 ტონა პანტა და მაჟალო ჩამოზიდეს ქალებმა მაშინ.

შრომის სიყვარული შინ არ აჩერებს მარიამს. მისნაირ სახლ-კარს ბევრს ვერ ნახავთ სოფელში. შვილებთან, რძლებთან და შვილიშვილებთან ერთად ტკბება თავისი ნაშრომ-ნაამაგარით. 100 მანეთი პენსია აქვს. თვეში 130 მანეთს გასამრჯელოს იღებს, ყოველ ზუგეგმით ხილზე პრემიასაც ითვლის. ახლა კიდევ, 2 ათას მეტრ ფართობზე ხახვს უვლის. 5 ტონა ხახვს მაინც მოიყვანს და იანგარიშეთ, კილოზე — 20 კაპიკი...

შრომობ? — მდიდარიცა ხარ!

ასეთია ყველა მშრომელი ადამიანი მარტყოფში.

მეორე ბრიგადირი ციური გაიხარაშვილი ბოსტნეულის უხვ მოსავალს ელის. ის ახალგაზრდაა, დილით სახლიდან რომ გამოდის, მაღალყელიანი რეზინის ჩექმები აცვია, ბოსტანში წყალია მისაშვები, თუ არ მორწყა, ისე არ იხარებს ბოსტნეული.

— გოგო, ბოსტნამდე მაინც კოხტად ჩაიცვი ფეხზე. ეგებ ვინმეს მოეწონო ეს გასათხოვარი ქალი.

— ციური იცინის.

— დამაცადეთ, ჯერ სახლი ავაშენო და მერე.

ციური დედმამასთან ერთად ცხოვრობს, დები წავიდ-წამოვიდნენ თავიანთ გზებზე.

ციური 10 ქალსა და 7 კაცს ხელმძღვანელობს.

1980 წელს ციური კომუნისტური პარტიის წევრი გახდა. ახლა მებოსტნეობის საუბნო პარტორგანიზაციის მდივანია. მისი ბრიგადა შარშან პირველ ადგილზე გამოვიდა. თავი ისახელეს ახალგაზრდებმაც და პენსიონერებმაც, ხანშიშესულები დაღლას სულ არ გრძნობენ, იმდენად გააადვილა მექანიზაციამ სამუშაო. ჩითილები მანქანებით ირგვება, მოსავალს მანქანა იღებს, სოფლის მეურნეობაში ინდუსტრიული ტექნოლოგია ინერგება, მოდი და ნუ იმუშავებ, ნუ მიეშველები ამ ღმერთს — კომბაინს. სიბერე ალბათ არასდროს მოვიდოდა, თავიდან რომ ასეთი მანქანები გვქონოდაო, — სინანულით თავს აქნევენ გაახალგაზრდავებული პენსიონერები და ხშირად 4 ათას მანეთს მარტო პრემიის სახით უმატებენ წლის ბოლოს თავიანთ დანაზოგს.



სოფელი კარგად ცხოვრობს, სოფელი ლონიერია, აგერ ოთხი საშუალო სკოლა, კეთილმოწყობილი, ნათელი ოთახები, ჩაკეტილ-დახურული, კარგად მოვლილი ბავშვები. საბავშვო ბაღები, ახლადშესხებარე 3 ბაღის შენობა — თითო 140 ადგილიანი... ალბათ მალე 400 დედა შვილს საბავშვო ბაღში მიიყვანს და მეურნეობის ველ-მინდვრებს მიაშურებს.

ქალებმა თუ გაიწიეს...

ისტორიულად მოსდგამთ აქაურ ქალებს აქტიურობა. დარეჯან ღეღოფალმა 1777 წელს მეაბრეშუმეობის განავითარებლად საუკეთესო აბრეშუმის ჭიის თესლი მოატანინა და სოფელში დაარიგებინა. მარტყოფელმა ქალებმა ურმებით დაიწყეს თუთის ფოთლის ზიდვა გარდაბნიდან. მეაბრეშუმეობა თანდათან ვითარდებოდა, მაგრამ ლეკთა თარეშის გამო იძულებული გახდნენ ურმების მიმოსვლა შეეწყვიტათ.

მეტი შეუპოვრობა მარტყოფელმა ქალებმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გამოიჩინეს. 1926 წელს მათ მარტყოფში მიწის კოლექტიურად დამმუშავებელი ამხანაგობა ჩამოაყალიბეს და თავდაპირველად 14 წევრი გააერთიანეს. ახლა დაჟინებით აკვირდებიან ჩიტრეკაშვილის ბრიგადის მუშაობას და მათსავით შრომას აპირებენ.

ასეთია მარიამ ილურიძის, ციური გაიხარაშვილის, ლალი ეპიტაშვილის, ნინა ედიკაშვილის, მარო იობაშვილის, მზია ფუხაშვილის, ლარა უსტარაშვილის, ლია სტეფანაშვილის და კიდევ სხვების უახლოესი მიზანი.





## სწორი გზა

მარტყოფში მშრალად არავინ ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1982 წლის მაისის პლენუმის მიერ დასახულ ამოცანებზე, არამედ დაკვირვებით, დინჯად, საკუთარი შესაძლებლობებიდან გამოდიან და ისე სწავლობენ სასურსათო პროგრამის არსს, დგამენ ნაბიჯებს ამ პროგრამის განსახორციელებლად.

მათი აზრით, სასურსათო პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელია მექანიზაციის, ქიმიზაციის. მელიორაციის გამოყენება, მეცნიერული მიღწევების წარმოებაში ფართოდ დანერგვა.

ეს ხომ, საერთოდ, გარდაბნის რაიონის გეზია. რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ მტკიცედ მოჰკიდა ხელი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის VI პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელებას.

მარტყოფის საბჭოთა მეურნეობაში სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ინტენსიური განვითარების სწორ გზას ადგანან. აქ დიდ პატივს სცემენ ახალს. პროგრესულს, მეცნიერულ აზრს, მოწინავეთა გამოცდილებას. სოციალისტური შეჯიბრების ძალას. მეურნეობას ეს ერთი წელია თავკაცობს ახალგაზრდა მეურნე, ვისაც კარგად ესმის, რომ სასურსათო პროგრამის მომზადება და განხორციელება პრინციპულად ახალი ნაბიჯია ჩვენი დაგეგმვის სისტემაში, სოციალისტური ეკონომიკის მართვაში, რომ პროგრამა განასახიერებს მიზნობრივ, კომპლექსურ მიდგომას სასურსათო პრობლემის გადაჭრისადმი.

მეურნეობის დირექტორი ანგელატ რუსეიშვილი მეცნიერებას დაუმეგობრდა, ამის ნათელი დადასტურებაა პოლიეთილენის გამოყენება ჩითილების გამოსაყვან სათბურებში, რამაც დიდძალი საშენი მასალა დაზოგა.

ახლა პოლიეთილენის საფარქვეშ ორ ჰექტარზე კვალსათბურების მოწყობას აპირებენ.

პროგრესულია და მოსაწონი მარცვლეულის ასაღები სამი კომბაინის გადაკეთება, ისე რომ მარცვლის აღების შემდეგის სასენაჟე მასის ასაღებად, სიმინდის ასაღებად და თივის ავტომანქანებზე დასატვირთავად გამოიყენონ. ამ გადაკეთებას სულ ორი საათი სჭირდება და კომბაინი 1 თვის ნაცვლად 4-5 თვეს მუშაობს. წლეულს კიდევ სამი კომბაინის გადაკეთებას აპირებენ.

მალე დამარცხდება მარტყოფელთა მთავარი მტერი — გვალვა, დამზადდება 2 დასაწვიმებელი აგრეგატი 100 ჰექტარის მოსარწყავად. დაწვიმებით რწყვა ხომ მიშვებით რწყვაზე ბევრად უკეთესია.

და კიდევ იმას ფიქრობს დირექტორი, რომ რაც შეიძლება სრულყოფილად შეასრულოს მანქანებმა ხახვის, პამიდვრის, კომბოსტოს, სტაფილოს მოვლა-აღების სამუშაოები. სწორედ ამიტომ ის მოსკოვის და რიაზანის ოლქებში გამოცდილების გასაცნობად გაემგზავრა.

სიახლეების ძიება და გონივრული გამოყენება იმის გარანტიაა, რომ მარტყოფელმა მებოსტნეებმა მეთერთმეტე ხუთწლედში ბოსტნეულის ჩაბარება 56.200 ტონამდე გაზარდონ, გარდა ამისა სახელმწიფოს მიჰყიდონ 2100 ტონა ყურძენი, 3500 ტონა მარცვალი, 4.500 ტონა ხილი, 4000 ტონა რძე, 600 ტონა ხორცი, 75 ტონა მატყლი. ეს მაჩვენებლები ერთიორად აღემატება მეათე ხუთწლედის მაჩვენებლებს.

მეძროხეობის ფერმაში, რომელიც 800 სული ფურისათვის არის გაანგარიშებული, პირუტყვის ბრუცელოზით დაავადების შემთხვევების გამო სულადობის განახლება ხდება. აქ აქვთ კომბინირებული საკვების საამქრო, უხეში და წვნიანი საკვების დამზადების კარგი შესაძლებლობა.

ყველაფერ ამის მიღწევას ისეთი ადამიანები სჭირდება, როგორნიც მარტყოფში არიან, ორი ათასი წლის სოფლის სახელს რომ უფრთხილდებიან და ახალი წარმატებებისათვის იბრძვიან.

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რაც უფრო შეგნებულად მოეკიდებიან ადამიანები თავიანთ საქმეს, მით უფრო წარმატებით წაიწევს წინ თვით საქმეც".

ე. შევარდნაძე

# თბილისი დამიმშვენე!

## გზები

ისინიც ხან ადამიანებივით ჯიუტები არიან. მიდიან დაყინებით, მიემართებიან, ხან შეხების წერტილსაც ვერ პოულობენ, ხან ერთმანეთს კვეთენ, ხანაც მჭიდროდ ენასკვებიან ერთურთს და სამუდამოდ ერთდებიან. და ადამიანთა ბედსაც ხშირად განსაზღვრავენ ხოლმე.

ასე წამოვიდა საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთიდან მისი ცხოვრების გზაც, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში რომ მიიყვანა. იქვე, დასაწყისშივე გამოჩნდა მისი ხასიათის ის ნიშნები, რომელთა ერთობლიობას შემდგომ დიდ, ფართო გზასავალზე უნდა გაეყვანა. თან მუშაობდა, თან სწავლობდა მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმში. თანაც ორივე საქმეს ისე აკეთებდა, ერთს მეორისათვის ხელი რომ არ შეეშალა.

მერე, როცა გავიდა წლები და მარინე აბულაძემ, უკვე დედაქალაქის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანმა, მოსკოვში უმაღლეს პარტიულ სკოლაში რომ ჩაირიცხა, ბევრჯერ გაიხსენა ის დასაწყისი, ბევრჯერ წაადგა ის გამოცდილებაც, ქუთაისში მუშაობის და სწავლის პერიოდში რომ შეიძინა. მაგრამ ეს მერე მოხდა. მანამ კი, ჯერ კიდევ ქუთაისში მუშაობის პერიოდში, საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ფეხბედნიერი გამოდგა ის დასაწყისი, ფეხბედნიერი, რადგან საფუძველი ჰქონდა მას მყარი, იმედიანი, სარწმუნო; საფუძველი, რომელმაც მთელი მისი შემდგომი ცხოვრების გზა განსაზღვრა.

## ხასიათი

ეს საფუძველი მისი ხასიათი იყო. ამიტომაც თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანზე — მარინე აბულაძეზე ნარკვევისათვის მასალის შეგროვებისას ჩემი ყურადღება უპირველესად მისი ხასიათის სხვადასხვა შტრიხებმა მიიპყრო, რომელიც მისი ცხოვრების მანძილზე არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი თუ მეორეხარისხოვანი წვრილმანით გამჟღავნდა ძალუმად, არა ერთი და ორი საქმე მოაქცია წალმა, ბარეორის ცხოვრების გზას დაუდო სასიკეთო შემობრუნების სათავე.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: ხშირად ჩვენი ცხოვრების რომელიმე უსიამო წვრილმანი ცხოვრების ჩარხის უკეთესობისაკენ შემოტრიალების საწყის წერტილად იქცევა ხოლმე. ასე მოხდა მარინეს ბიოგრაფიაშიც. იმ ერთმა ქულამ, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ჩაბარებისას რომ დააკლდა და სტუდენტობისაკენ მიმავალი გზა გადაულობა, უფრო დიდი როლი შეასრულა მის ცხოვრებაში, ვიდრე მაშინ წარმოიდგენდა, კედელზე გამოკრულ თეთრ სიფრიფანა ქაღალდზე ბედნიერთა შორის საკუთარი გვარი რომ ვერ იხილა. სწორედ იმ დაკლებული ქულის გამოისობით მოხვდა წინდების ფაბრიკა „კრწანისში" და ეს ნაბიჯი შემდგომ ყველაზე უფრო მძიმე წუთებშიც კი არ უნანია.

ხასიათის გამოსამჟღავნებლად დიდი დრო არ არის საჭირო. საქმის სიყვარული, მოკლე დროში შეძენილი პროფესიონალიზმი და, რაც მთავარია, ნებისყოფა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას ასე რომ გამოარჩევდა თანატოლთაგან, მალე შეამჩნიეს უფროსებმა. და როდესაც ფაბრიკაში კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა ჩამოყალიბდა, რომელსაც კომკავშირის 50-ე წლისთავის სახელი უწოდეს, ბევრი არ უფიქრიათ, მის ხელმძღვანელად მარინე აბულაძე აირჩიეს.

## „კრწანისის ყაყაჩოები"

ბრიგადაში ორმოცი გოგონა შრომობდა. ორმოცი სხვადასხვა ეროვნების, ასაკის, ხასიათის ადამიანი და სწორი, შეუმცდარი ხელმძღვანელობა, ადამიანებთან მუშაობის დახვეწილი ფორმები, და, რაც ასე მთავარია, თანდაყოლილი ტაქტი თუ არა, მარინეს რომ აღმოაჩნდა, — არ იქნებოდა ის მიღწევები, გოგოებს საქვეყნო სახელი რომ მოუტანა, ხოლო მათ ბრიგადირს — კომკავშირის პრემიის ლაურეატობა. და განა მარტო ლაურეატობა! ქუთაისური დასაწყისი ფეხბედნიერი გამოდგა მეთქი, ზემოთ რომ ვთქვი, ამასაც ვგულისხმობდი: აღიარება, დაფასება, დღემდე რომ მოიპოვა მარინე აბულაძემ — საქალაქო და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობა, რესპუბლიკის კომკავშირის 27-ე, 28-ე, 29-ე, 30-ე ყრილობების დელეგატობა, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრობა, შრომის წითელი დროშის ორდენი, მერე უკვე პარტიულ სამუშაოზე — საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისა და სკკპ XXV ყრილობის დელეგატობა, ალარაფერს ვამბობ ჯილდოებზე, სიგელებზე, ვიმპელებზე, სხვადასხვა დროს რომ ხვდა წილად.

გოგონების გარჯილობამ ყველას ყურადღება მიიპყრო. გუშინდელივით ახსოვთ ის დღე, მწერალთა კავშირში რომ მიიწვიეს. საყვარელ მწერლებთან შეხვედრა სამუდამოდ დარჩა მათს მეხსიერებაში, დარჩა ისევე, როგორც მათივე შერქმეული სახელი „კრწანისის ყაყაჩოები".

1976 წელს თბილისის წინდების ფაბრიკა „კრწანისის" ბაზაზე გაერთიანდა თელავის და თბილისის წინდების ფაბრიკები და შეიქმნა თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანება, რომლის პარტიული კომიტეტის მდივნად მარინე აბულაძე აირჩიეს.

## საქმე, შენი ხელის დამამშვენებელი

რომელიც განებავ პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, სახალხო კონტროლის ჯგუფს სხვადასხვა საზრუნავი აქვთ. ყველა მათგანი, ბუნებრივია, თავისი საქმიანობის სპეციფიკით, მოქმედების რადიუსით ერთმანეთისაგან განსხვავდება. საერთო კი ერთი აქვთ — საუკეთესო ხარისხის ბევრი პროდუქციის გამოშვება. ორას ოცდათხუთმეტკაციანი პარტიული ორგანიზაცია დიდი ძალა რომ არის, თავის თავზე ბევრის აღება და დაძლევა რომ შეუძლია, ის მაშინაც იცოდა მარინემ, კომუნისტთა ამ მძლავრი ბირთვის წინამძღოლობა რომ ანდეს და, რა თქმა უნდა, ახლაც, უკვე ბევრი და მნიშვნელოვანი საქმე რომ აქვს გაკეთებული ამ ბირთვს.

ინიციატივა, საინტერესო წამოწყება ბევრი წარმატების საწინდარი გამხდარა —



ამიტომ ძალიან ესიამოვნა ერთ-ერთ პარტიულ კრებაზე რიგითი კომუნისტის, საკერვალო საამქროს მუშის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნინა პანკოვას ნათქვამი, — რატომ არ უნდა იყოს ყველაფერი თბილისური საუკეთესოო. ეს ხომ პრესტიჟის საქმეა. მოდით, გამოვუშვათ ისეთი ნაწარმი, რომ ვათქმევინოთ მომხმარებელს — „თბილისურია? მაშასადამე საუკეთესოა!“ ასეც უწოდეს ინიციატივას, — „თბილისურია? საუკეთესოა!“, რომელსაც საწარმოში ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. ამგვარად გაუმჯობესდა წინდების ხარისხი.

— ოღონდ ეს არის, კარგი წამოწყების ბოლომდე მიყვანას მეორეხარისხოვანი წვრილმანები არ უნდა უშლიდეს ხელს, — ამბობს მარინე, — მართლაც რომ საუკეთესო ხარისხის წინდებს ქსოვენ ნინა პანკოვას მიმდევრები. მათს ნახელავში დაცულია ყველა ტექნოლოგიური პროცესი, მაგრამ არა გვაქვს სხვაგვარი პაკეტები, რომლებშიც ამ საქონელს ჩავაწყობდით. პაკეტს ზედ უნდა ეწეროს „თბილისურია? საუკეთესოა“. ეს ერთგვარი ხარისხის ნიშანი იქნებოდა.

პროდუქციის ხარისხის პრობლემა პარტიული კომიტეტის თვალთახედვის არედან არ გამოდის. საქსოვ საამქროში მუშები ნორმაზე მაღალ ტემპერატურაზე მუშაობდნენ. ეს მათთვისაც აუტანელი იყო და ზომაზე ცხელ გარემოში მოქსოვილი წინდაც უხარისხო გამოდიოდა. რამდენი ითათბირეს, იმსჯელეს, იფიქრეს კომუნისტებმა. აგერ მერამდენე კრებაზე დააყენა საკითხი შრომის დიდების მესამე ხარისხის ორდენის კავალერმა თამარ ალიხანაშვილმა. და როგორც იქნა (მაშინ ერთხელ კიდევ დარწმუნდა მარინე, რომ ვინც ეძებს, პოულობს), მოინახა გზა. საქსოვ მანქანებზე იმ ადგილას, საიდანაც ცხელი ჰაერის ნაკადი გამოდის გარეთ და აუტანელს ხდის იქ გაჩერებას, გამწოვები დაამონტაჟეს. ახლა ჰაერის ცხელი ჭავლი გარეთ გაიწოვება, რის შედეგადაც საამქროში რვა გრადუსით დაიწია ტემპერატურამ. ამით არ მოგვიმთავრებია ყველაფერი, სხვა გზებსაც მოვძებნით, ითქვა პარტიულ კრებაზე.

საერთოდ ხარისხის გაუმჯობესების გზებს და საშუალებებს აქ მუდამ ეძიებენ. შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლები რეკლამაცია მოვიდა წლეულს საწარმოში.

— საქმეს მომწოდებელი ორგანიზაციები გვირთულებს. ნედლეულით რომ შეუფერხებლად ვმარაგდებოდეთ, გაცილებით უკეთესი ხარისხი გვექნებოდა და გეგმებსაც არც ისე ძნელად შევასრულებდით. ხან მთელი თვის ნორმა ბოლო დეკადაში მოდის და იწყება იერიშობანა. ის კი ხარისხის პირველი მტერია. — ეს მარინეს გულისტკივილია.

სათქმელს ბოლომდე ამბობს, გულწრფელად, დაუფარავად. ესეც მისი ხასიათის ერთი ნიშანია. ამ გაზაფხულზე, ჩვენ დედაქალაქში მოწყობილ პარტიული ორგანიზაციების მდივნების რესპუბლიკურ კრებაზე ყველაზე მეტად ალბათ ამიტომ მოეწონა გულახდილობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფერო.

— იქ ისეთი ატმოსფერო შექმნაეროვნული ბიბლიოთეკა თითქოს თავისთავად, ყველა მიუკიბ-მოუკიბავად ამბობდა სათქმელს.

— წე კრებამდე მოწყობილ სემინარშიც ვმონაწილეობდი, გორის ბამბეულის კომბინატში გავლდით. ძალიან საყოფიეროა ამგვარი თანამშრომლობა, უფრო უკეთ ეცნობი შენი თანამოსაქმეების მუშაობის ფორმებს, სიახლეებს, სწავლობ, იზრდები... პროფესიული სრულყოფა კი საქმის უკეთესად წარმოების ყველაზე საიმედო გარანტიაა. — ასე ფიქრობს მარინე.

## როგორი სახე აქვს სიკეთეს?

ალბათ ძალიან ბევრგვარი, ოღონდ ყველა მეტისმეტად ძვირფასია. თუმც ბრძენი ამბობდა, არაფერი ისე იაფი არ გვიჯდება და არაფერი ისე ძვირად არ ფასობს, როგორც სიკეთეო. მაგრამ ესეც არის, სიკეთე იაფი რომ დაგიჯდეს, რომ შეგეძლოს უშურველად, დაუთვლელად გაიღო ისე, რომ სამაგიეროდ არაფრის მოლოდინი არ გქონდეს სხვისთვის გაკეთებული მადლით მოგვრილი სიამის მეტი, ზეგარდმო ნიჭით უნდა იყო მომადლებული.

ჰკითხეთ მარინე გოგლიძეს როგორი სახე აქვს სიკეთეს. ჰკითხეთ როგორია სხვისა სიხარულით სხივჩამდგარი თვალები!

მთელი სიცოცხლე, — უფრო ზუსტად, — მთელი ბავშვობა თითქოს ამ თვალებს ელოდა. და თუ შეიძლება ერთ სიტყვაში დროის მთელი მონაკვეთი მოაქციო, ასე მოექცევა მისი ბავშვობა სიტყვა მოლოდინში. დედას ელოდა ისიც. ისევე როგორც უდედმამო ბავშვთა თავშესაფარის ყველა ბავშვი, იმ სითბოს, იმ სიტკბოს ელოდა (ყველა ადამიანი მეტ-ნაკლებად რომ ელის ხოლმე მთელი სიცოცხლის მანძილზე), რომლის გაღება დედას ძალუძს ყველაზე მეტად.

დედა არ მოვიდა. მოვიდა ის, მარინე, მისი სეხნია.

— პროფტექნიკურ სასწავლებელს რომ ვამთავრებდით, მაშინ მოვიდა ჩვენთან მარინე აბულაძე. თავის საწარმოზე გვესაუბრა. არჩევანი დიდი იყო, სხვა საწარმოებიდანაც მოდიოდნენ, მაგრამ გულმა რატომღაც იქით გამწია — ამბობს მარინე გოგლიძე.

გულმა გასწია, თითქოს იგრძნო, რომ იქ უნდა მიეღო ის, რასაც ქვეშეცნეულად ელოდა მთელი ბავშვობა. და თუმცა ამხელა ქალიშვილის დედობა მეტისმეტად ადრე იყო მარინესთვის, ისე მოექცა, როგორც ნამდვილი დედა. გვერდში ამოუდგა უმცროს მარინეს, პირველსაქმის სიძნელე გაუიოლა.

და თუ სიკეთე უთუოდ კონკრეტული საქმითაც უნდა გამოიხატოს, ისიც გააკეთა. უდედმამო ბავშვთა სახლში გაზრდილს, რა თქმა უნდა, საკუთარი თავშესაფარი არ ჰქონდა. საწარმოში ყველას ახსოვს: რა გულით მოეკიდა პარტიული კომიტეტის მდივანი მარინეს ბინის საქმეს.

— როგორ შეწუხდა თვითონაც და სხვებიც შეაწუხა ჩემი ზინისათვის! ზე კი ისე მერიდებოდა, ველარც ვეჩვენებოდი — ამბობს მარინე უმცროსი.

ხიკეთის შუქზა „ზემოთაც" გამოყოხა. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნინო ჟვანია, პარტიის თბილისის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი ლია ლომიძე და სხვები დაეხმარნენ — მარინეს საკუთარი ჭერი გაუჩნდა. და დაბრუნდა რწმენა, კინაღამ ბავშვობამ და დედის ამაო მოლოდინმა რომ წარიტანა თან. მერე კოლექტივი დაფაცურდა, მარინეს მაგიდა, სკამები, პირველი მოთხოვნილების საგნები უნდათ. ყველამ მიიღო მონაწილეობა იმ ერთი პატარა ბუდის მოწყობაში.

ასეთი დედურია მარინე ხშირად. მაგრამ დატუქსვაც როგორი იცის, როცა საჭიროა, საქმის მიყურისძირებას არავის აპატიებს. ყველას ახსოვს აქ, რა დაუნდობელი იყო მარინე შარშან, დატაცების ფაქტი რომ გამოვლინდა გაერთიანებაში, მთელი კოლექტივის ავტორიტეტს რომ მოეცხო ჩირქი. ასეთი აღელვებული არც უნახავთ სხვა დროს ის.

მკაცრად იმსჯელა პარტიის რაიკომის ბიურომ მომხდარზე. პარტიულ კომიტეტსაც დაუსახა სამოქმედო პროგრამა. და როდესაც ამასწინათ იმ დადგენილების შესრულება შეამოწმეს, ხაზგასმით აღნიშნეს ბიუროზე, რომ საწარმოს კომუნისტებმა კარგად იმუშავეს ამ პერიოდში. აქ ყველაფერი გააკეთეს საქმის გამოსწორებისათვის, შეიქმნა სხვადასხვა კომისიები — შრომის დისციპლინის განმტკიცების, ხარისხის გაუმჯობესებისა და სხვ. ნახევარწლიური გეგმებიც კარგად შესრულდა: პროდუქციის გამოშვების გეგმა — 108 პროცენტით, რეალიზაციისა — 104 პროცენტით. ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა 108,8 პროცენტით არის განაღდებული.

ვუყურებ მარინეს და ვფიქრობ, როგორ გვჭირდება, ბევრი გვჭირდება დღეს მისნაირები. დიდი მიზნები რომ საქმედ აქციოს, დასახულსაც რომ კონკრეტული სახე მისცეს და ადამიანისთვისაც გულის სითბო არ დაიშუროს, ისეთები გვჭირდება. იმ ქართვლის დედის ჩამომავლები გვინდა, სად პირმეხობა და სად დედური სითბო, ვისთვის ხმალი და ვისთვის ფიალა რომ არ ეშლებოდა. ამგვარები ყოველთვის ამშვენებდნენ ჩვენს მიწა-წყალს, ასეთები მიწყივ გვიმკობენ დღევანდელობას, ისინი პოეტების მუზებად იქცევიან ხოლმე. მარინე აბულაძესაც უძღვნა პოეტმა ლადო სულაბერიძემ პოეტური სტრიქონები, რომლითაც ბოლოსიტყვას მეც ვეტყვი მარინეს: — „კრწანისთან დაღლილი ღამე გამითენე, ზეცას ვარდის წყალი ჩამოაღვარინე... კრწანისის ლანდების ხევდა მომიგროვე, მუზების იდუმალი ხმა მომაპარინე. ოცნების ცისფერი ბურთი მომიგორე, თბილისი დამიმშვენე, მარინე".

ბალინა ხარებაშვილი.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემია მიანიჭა პოეტ **დალილა ბედიანიძეს** პუბლიცისტური პოემისათვის „ათას ცხრაას ოთხმოცდაორი", რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში".

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია ულოცავს მაიაკოვსკის პრემიის ლაურეატს დალილა ბედიანიძეს ამ დიდ აღიარებას და უსურვებს ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

## მუსიკალური პასტორალი

ო, როგორ მიყვარს პროვინციულ ქალაქებში მთვლემარე
ნამზითვი შავი პიანინოები,
ასაწყობი და კლავიშებჩაცვენილი პიანინოები,
თავიანთი დეტონაციური აკორდებით რომ იმეორებენ ჩვენს პირველ სიმღერებს
როგორ ჰგავს მათი გამოღვიძება
პატიოსანი მარტოხელა ქვრივის მოლხენას ერთადერთი ქალიშვილის ქორწილში.
როგორ გველოდებიან ჩვენი მდუმარე პიანინოები
და ჩვენს გაუთავებელ მოლოდინში ეცვლებათ ხმა, კარგავენ ბგერებს
და როგორც კი იგრძნობენ ჩვენს თითებს,
აუღრიალდებიან ნაავადმყოფარივით,
აფორიაქდებიან, წამოიწევიან შესახვედრად, მაგრამ ძალა აღარ ყოფნით...
ო, როგორ მიყვარს პროვინციული ქალაქების ავადმყოფი პიანინოები,
რომელნიც წამალივით გველოდებიან,
შველასავით გველოდებიან
და ჩვენ როგორც კი შევეხებით სისხლმოკლებულ კლავიშებს,
ვგრძნობთ, როგორ ვაკლდით ერთმანეთს ჩვენ და ჩვენი ერთადერთი პიანინოები,
ვგრძნობთ,
მხოლოდ მათი დათალხული სხეული გვინახავს სამუდამოდ,
ჩვენ კი მთელი სიცოცხლე მათგან გაქცევის გარდა არაფერი გვიკეთებია
და მთელი სიცოცხლე მოვანდომეთ უკეთესი პიანინოს ძებნას,
რომ უკეთესად დაგვეკრა.
შევძელით კიდევაც.
ახლა ჩვენი რეპერტუარი აქაურობას აღარ მოერგება, ყალბად იჟღერებს,
რადგან ზოგი კლავიში ჩავარდნილია, ზოგი — ცდება,
ძველი რეპერტუარი კი აღარ გვახსოვს.
ჩვენ აქ უკვე სტუმარი ვართ და იმდენ ხანს ვერ დავრჩებით,
რომ ავაწყოთ და ბოლომდე გავაცოცხლოთ,
რადგან ჩვენი აწყობილი ინსტრუმენტები გვაქვს სხვაგან,
რომელთა შეხებაც გვავიწყებს აქაურობას,
გვავიწყებს ანბანურ გამა დო მაჟორს...
გვავიწყებს, რომ სადაც არ უნდა წავიდეთ,
ვერასოდეს ვერ წავუვალთ ამ შავ მასპინძელს,
რომელიც ერთხელ და სამუდამოდ მიჩენილ ადგილზე დგას სასტუმრო ოთახში,
დგას და გველოდება, გველოდება...
ო, როგორ მიყვარს პროვინციული ქალაქების დაქვრივებული პიანინოები,
როგორ მიყვარს და როგორ მეშინია,
რადგან ყოველი შეხვედრისას მათ გალაქულ ზედაპირზე
უფრო და უფრო გამოიკვეთება ჩვენი ნამდვილი კონტურები,
უფრო და უფრო გარკვევით ილექება ჩვენი ნამდვილი სახე,
რომელიც კოსმეტიკამ გაამკრთალა და გააბუნდოვნა...
მეშინია, რადგან თანდათან აკლდებათ ხელი,
ისინი კი დგანან, დგანან და მუნჯდებიან წლითიწლობით...

ქეთევან პილაშვილი



# წასულა ვენახში

მხატვარი ჯემალ ლოლუა

მიხაკოს ქვრივმა მთელი ღამე შამფურივით იტრიალა ლოგინში. ძილი არ მოეკიდა, აბეზარმა ფიქრებმა თავი ახადეს და მაინც არ ეშვებოდნენ. — ეს ღამეც რომ აღარ წაბნელდა და წაშავდა! — წამოჯდა გულგაწყალებული პელო და თვალი ბუხარში მინავლებულ მბჟუტავ ღველფებს დააშტერა. ფიქრსაც ეს უნდოდა, ისევ აიშალა და გაიწელა, — რას მემართლებოდით, ჩემო ქმარ-შვილო? ან რად მომეკიდეთ გულზე და ან რად დამტოვეთ?

ჰო, ჩემო მიხაკო, შენ ომმა გიწია და სხვაც ბევრი შენისთანა დაეცა მტრისჯავრამოყრილი. ამიტომ შენს ბედისწერას სიამაყით გავუძელ, მაგრამ შენა ჩემო ვაჟკაცო, იმედო და სიხარულო, შენ რაღად დამალალატე! იქნება ვერ მოგიარე, იქნება დაგაკელი რამე, ბიჭო! აქვითინდა პელო და სიმწრისაგან მკერდში მუშტები ჩაიბაგუნა. — აკი მაიმედებდი, ახლა აღარაფერი გვიჭირს, დედაო, გიხაროდა კომბაინზე დამსვესო, რძალიც მომგვარე, შვილიშვილითაც გამახარე, თქვენი ხათრით ქვრივობის თალხები დავთმე, ჭიქჭიკა მოსახვევი მოვიხვიე. ქვეყანა ჩემი მეგონა და... დახე კაცის ბჭობასა და ღმერთის სიცილსა...

სიზმარივით გამიქრო ყველაფერი. შენი ცოლი გათხოვდა. რაც მე იმას ვემუდარე აქ მოეყვანა ქმარი! გლალატობდი, შვილო, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. ოღონდ შენი პატარა სოსიკო, შენი რტო და კვირტი ჩვენს კერაზე გაზრდილიყო და გთმობდი მე თავმკვდარი. თხოულობდნენ კიდეც ჩვენებურები. გიგოლას ქვრივმა ვაჟმა კარი ამიტალახა, იმასაც ერთი ბიჭი დარჩა... ოღონდაც მომხდარიყო, მაგრამ რომ არა ქნა შენმა ცოლმა, თავი გაიკლა ქალაქში გათხოვებაზე. ვიღაც ხელოსანზე გათხოვდა, ორი გერი ჰყავს, ბიჭები. იმ კაცზე ცუდი არაფერი გამიგონია, ზოგი აქებს კიდეცა, მაგრამ ი დიდი ბიჭი ჰყოლია სამიწე. თურმე წარამარა უბასტუნებს ჩემს სოსიკოს თავში. მეორე უფრო კეთილი ყოფილა, ესარჩლებაო, მაგრამ განა რამდენი შეუძლია აიტანოს, თვალებში სინათლე გასდის, გამხდარია, აგრემც მოუკვდეს ჩემი თავი. იმ დღეს ჩვენი ექიმი მამშვიდებდა: ნუ გეფიქრება, მოზარდმა ასე იცისო, ჯანმრთელი ბავშვიაო. იმის დედა ჩემგან აღარც ფულს იღებს და აღარც ჭირნახულს, კარი გადამიკეტა, თორემ რამეს დავაკლებდი? აი, ასე დარდიანი ვარ, ჩემო შვილო, შენი დარგული ნაადრევი ტკაცუნა ვაშლი უკვე ისხამს. პირველად ათი მოიბა. ათივე შენს ბიჭს გამოვუზოგე. შარშან ცოტა უფრო მეტი ესხა. ერთი ყუთი ავავსე და შენს სიდედრთან ავიტანე, რაკი შინ აღარ მყავდა ჩემი სოსიკო, რომ ამოვა დაახვედრე, ტკაცუნა ვაშლი უყვარს-მეთქი. არ ამოიყვანა იმისმა დედამ, მძახალმა ისევ უკან გამომიგზავნა, ჩემიც თავზე გადამდისო! რა მექნა, შვილო, დავჯექ იმ შენი ვაშლის ხის ძირში, ცრემლითლა მოვიოხე გული...

ახლაც ჩამოვკრიფე და აი, გათენებას ველი, რომ პირველი ავტობუსით ქალაქში ჩავიდე. იმათთან ვერ მივალ, შარშან კარგი მოსაკითხით ვეახლე, კითხვა-კითხვით ძლივს მივაგენი, მაგრამ შენი ცოლი ისეთი ცხვირით დამხვდა, თავბედი ვიწყევლე. არც მოსაკითხი მიიღო და კარებშივე მომახალა: დაივიწყე ჩვენი რძალ-დედამთილობაო. სოსიკო-მეთქი? სოსიკოს საკმაო ბებიები ჰყავსო. გულის ძარღვი ჩამწყდა, ერთი სიკვდილი გავათავე. მკითხავ, მა რაღას ადგეხარ ქალაქის გზასაო? ჩემი სოსიკო უნდა ვნახო, იმის სიტყვაზე გულიდან ხომ ვერ მოვიწყვეტავ. შენი რტო და კვირტია. შვილო! ვიდრე პირში სული მიდგას, იმას უნდა ვანაცვალო თავი.

გზაზე მგზავრების ფეხის ხმა და ხმამაღალი ლაპარაკი გაისმა.

— გათენებულა! — წამოჯდა პელო და იქვე სკამზე წყობისად დალაგებული საცვალითა და ტანსაცმლით შეიმოსა, მერე

თვალი მოავლო იქაურობას, ყველაფერი ხომ რიგზეაო, პირჯვარი გადაისახა და ვაშლებიანი ჩანთით გზაზე გამოვიდა.

დიდმა ქალაქმა უცებ „ჩაყლაპა“ ავტობუსიდან გადმოსული მგზავრები. პელოს სოსიკო სკოლაში უნდა ენახა, სკოლა კი, ალბათ, იმათ სახლიდან შორს არ უნდა იყოსო, ასე იფიქრა და ნება-ნება გაჰყვა ქუჩას. კითხვაც აღარ დასჭირდა, პირდაპირ სკოლის ჭიშკარს მიადგა. ეზოში მოთამაშე ბავშვების დანახვაზე გული აუჩქროლდა, თვალი გაუფაციცდა, ეგების ჩემი სოსიკოც იმათში ურევიაო. ამ ფიქრში იყო პელო, რომ ახალგაზრდა ქალმა საყვედურით მიმართა: დეიდა, ახლავე აიღეთ ეს თქვენი ჩანთა და განაგრძეთ გზა!

— რათა, შვილო? — ალალად შეხედა პელომ.

— ბავშვებს ავუკრძალეთ მზესუმზირის ყიდვა, გაკვეთილზეც კი აკნაწუნებენ.

— არ მომიკვდეს ჩემი სოსიკო, მე მზესუმზირა არა მქონდეს, პელომ ჩანთა გადახსნა, ვაშლებმა წითლად გამოაშუქა. — ჩემს შვილიშვილს სოსიკოს წამოვუღე ბამისეული ხის ვაშლი.

— რომელ სოსიკოს?

— სოსიკო ცალუღელაშვილს, — გაიცქნაფა პელო.

— სოსიკო ჩემი მოსწავლეა, იმისი კლასის დამრიგებელი ვარ.

— შენ კი გაიხარე, შვილო, რა განგებამ მომივლინა შენი თავი ,როგორ არის, იმას ენაცვალოს ბებია.

— კარგად, ჩუმი, ჭკვიანი ბიჭუნაა.

— სწავლით? ხომ ბეჯითობს...

— სწავლობს... არ ვემდური.

— სულ თავისი მამის მონაჭერია, აგრემც თავს შემოევლება ბებია, ხომ მაჩვენებთ... დღეს იყო სკოლაში?

— სადაც არის გამოვა მეხუთე გაკვეთილი, ერთად ნახვალთ შინ.

პელოს სახე მოეღრუბლა ამოიოხრა და მასწავლებელს გული გადაუშალა... ამასობაში ზარი დაირეკა, მასწავლებელმა სოსიკოს ბებიას ხელმკლავი გამოსდო და თავის სადამრიგებლო კლასში მიიყვანა.

— ბავშვებო, ჩვენ სასიამოვნო სტუმარი გვეწვია! — ღიმილით ამცნო კლასს და ანიშნა ადგილებზე დასხედითო. გაოცებული ბავშვები თავიდან ფეხებამდე ათვალიერებდნენ სოფლელ ბებიას.

— ნუთუ ჩემი პელო ბებიააო? — გაოცება გამოეხატა სოსიკოს სახეზე, შენიაო, ალერსიანად დაუქნია თავი მასწავლებელმა და მერე ყველას გააცნო — სოსიკოს ბებიას უნდოდა ენახა, როგორი მეგობრები ჰყავს იმის შვილიშვილს, გაეგო ან თავად სოსიკო როგორ ამხანაგობას გიწევთ, ბეჯითები ხართ თუ ზარმაცები? ასახელებთ თუ არა ოჯახსა და სკოლას?

— ვბეჯითობთ, ვასახელებთ. — შესძახეს თამამად.

— თქვენ შერჩით დედ-მამასა, თქვენ გაიხარეთ ქვეყანაზე! — პელომ ჩანთა გახსნა და სათითაოდ ჩამოურიგა ტკაცუნა ვაშლები — პირი ჩაიტკბარუნეთო.

ალერსად იქცა პელო, სოსიკო გულში ჩაიკრა, ჩემო სიცოცხლეო, ჩემო სიხარულო — იმედოო, ბებოს პატარა ვაჟკაცოო... ბუტბუტებდა და ცრემლად იფრქვეოდა. რადა ხარ გამხდარი, გენაცვალე, საჭმელს კიდევ არჩევ? რატომ ბებიას პატარა წერილს არა სწერ, ხომ იცი შენი დარდი მაქვს. დიდედასთან რომ ამოდიხართ, რატომ შენს სახლს კი არ მოინახულებ ხოლმე...

გაბუსხული სოსიკო ვაშლს ხელებში ატრიალებდა. ბებოს საყვედურზე ცრემლი ერეოდა. სოსიკოს დედა გაქვავებული იდგა კარებთან ეზოში ელოდებოდა შვილს, რაკი დაუგვიანდა, ამოაკითხა. დედამთილის დანახვაზე გუნება წაუხდა, პირზე მოადგა უკმეხი სიტყვები, მაგრამ შექმნილმა გარემოებამ დაამუნჯა.

— წავიდეთ, — ჩაჰკიდა შვილს ხელი და ვაშლზე ანიშნა, უკან მიეციო. სოსიკომ თავი გაიქნია, ვაშლი ჯიბეში ჩაიდო, ბებიას აკოცა და ისე გაჰყვა დედას.

— ბოლო კეთილია! — გაამხნევა მტირალი მანდილოსანი მასწავლებელმა და ხელმკლავით ეზოს ჭიშკრამდე მიაცილა.

— ღმერთმა გისმინოთ! — მდაბლად თავი დაუკრა პელომ და მძიმე-მძიმედ დაადგა გზას.

# ბავშვები, ბავშვები...

მაროკოს ხალიჩების ფაბრიკებში 7-11 წლის ბავშვები მძიმე შრომას ეწევიან. გარდა ამისა, ათასობით გოგონა ოჯახებში შინამოსამსახურეობს, ხოლო ბიჭები ქუჩებს მოსდებიან — გაზეთებს, სიგარეტებს, სალეჭ რეზინებს ჰყიდიან, ფეხსაცმელს წმენდენ, რომ მცირეოდენი გროშებით დაეხმარონ ოჯახს.

* * *

ლათინური ამერიკის ბავშვების ხვედრიც მძიმეა. სან პაულოს ქუჩებში 600 ათასი უპატრონო ბავშვი დაეხეტება. დაახლოებით ამდენივე დაწანწალებს რიოდე-ჟანეიროში. საერთოდ კი, ქვეყანაში 14 მილიონამდე უსახლკარო მოზარდია. მათი მშობლები მოკლებულნი არიან ელემენტარულ საშუალებას რომ საკვებითა და ბინით უზრუნველყონ თავიანთი შვილები. 3 მილიონამდე 10-14 წლის მოზარდი არავითარ სამუშაოს არ ერიდება, შიმშილით რომ არ დაიღუპოს.

ქალაქ ლიმის ქუჩებში გასული 40 ათასზე მეტი პატარა ფეხსაცმლის წმენდით, გაზეთების გაყიდვით, მათხოვრობით ირჩენს თავს.

მეხიკოს ბაზარ „ლა მერსედში“ ასობით ბავშვი, მოზარდი თუ ახალგაზრდა მუშაობს. მათგან 400 მტვირთავია, ხოლო სასკოლო არდადეგების დროს მათ კიდევ 200 ემატება. ბავშვები დილის 4 საათიდან საღამოს 4-5 საათამდე შრომობენ. ბევრი მათგანი სოფლებიდან არის ჩამოსული, ქალაქში თავშესაფარი არ გააჩნია და ხან სად ათევს ღამეს, ხან — სად. ზოგიერთს კი ბაზარში სძინავს.

ფრანგული ერთკვირეული გაზეთის „ექსპრესის“ ცნობით, კოლუმბიაში ყოველწლიურად დაბადებული 2000 ბავშვიდან 600-ს არა აქვს ზრდის ნორმალური პირობები, ბევრ მშობელს არა აქვს საშუალება ბავშვის აღზრდისა. და აი, გამოჩნდნენ საქმოსანნი და გადაწყვიტეს ხელი მოითბონ ადამიანთა გაჭირვებაზე. აღმოცენდა „სავაჭრო ფირმები“, რომლებიც ბავშვებს კოლუმბიაში ყიდულობენ და დასავლეთ ევროპაში ჰყიდიან. ევროპაში ბავშვები ჩაჰყავთ აგრეთვე პერუდან, ჩილედან, ეკვადორიდან, სამხრეთ კორეიდან. ამ სარფიანი საქონლის მოპოვების სხვადასხვა გზა არსებობს: ყიდულობენ მათხოვრობით განაწამები მშობლებისაგან, იპარავენ სოფლებში, იპარავენ სამშობიარო სახლებიდან. საზოგადოებაში, სადაც ყველაფრის ყიდვა-გაყიდვა ნებადართულია, ბავშვებით ვაჭრობა ერთ-ერთ ხელსაყრელ ბიზნესად არის მიჩნეული.

როგორც „კანადიან პრესი“ იუწყება, კანადის პროვინცია განიტობაში შექმნილია საგანგებო კერძო სააგენტო, რომელიც ვითომდა ღარიბი ინდიელების დასახმარებლად შეისყიდის რეზერვაციაში ამ იაფ საქონელს — გოგონებსა და ბიჭებს, რომ შემდეგ სამმაგ ფასად გაასაღოს — იმათ მიჰყიდოს, ვისაც იაფფასიანი მუშახელის შეძენა სურს.

# ბელორუსი ქალის ნათელი სახე



ვ. ვეხოტკოს ფოტო.

გომელის ქარხანა „ელექტროაპარატურის“ ალაყაფის კარიდან ყოველდღე გამოდის ორი ადამიანი — ქალი და ქალიშვილი, რომლებიც ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. მათ ყველანი მოკრძალებით, პატივისცემით ესალმებიან, გზას უთმობენ და, თუ ვინმემ არ იცის ვინ არიან, სიამაყით ეტყვიან ხოლმე, კისელევებმა გაიარესო.

ელეონორა კისელევა. მისი სახელი და გვარი მარტო ქარხანაში კი არა, ქალაქშიც არის ცნობილი. ოცი წლის განმავლობაში ერთ საამქროში, ოღონდ სხვადასხვა უბანზე, ბოლო დროს კი ყველაზე ძნელ საქმეზე მუშაობა; ყველა საწარმოო დავალების, მათ შორის მეათე ხუთწლედის დავალებების ვადამდე, სამწელიწადნახევარში შესრულება; სკკპ XXVI ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა; 1981 წელს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდების მოპოვება... ეს მხოლოდ რამდენიმე შტრიხია უბრალო, ჩვეულებრივი ქალის, ქარხანა „ელექტროაპარატურის“ ამწყობი ზეინკლის ელეონორა კისელევას ცხოვრებისა. და აი ერთი შტრიხიც: ამავე ქარხანაში კისელევამ თავისი ქალიშვილი ოლღაც მოიყვანა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ...

ამ ცოტა ხნის წინათ საზეიმო ვითარებაში ხელი მოაწერეს 1982 წლის სოციალისტური შეჯიბრების საბუთს — ამ ორი რესპუბლიკისათვის — ბელორუსიისა და ლიტვისათვის ტრადიციულ ხელშეკრულებას. ბელორუსიის მხრიდან მეცხოველეთა სახელით ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ლიდია ბრიზგამ — სოციალისტური შრომის გმირმა, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა. ეს დიდი პატივი მან სამშობლოსათვის თავდადებული შრომით მოიპოვა. უკვე დიდი ხანია, რაც ლიდა, — ბრესტის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, ფურების მანქანით წველის ოპერატორი, რესპუბლიკის მეცხოველეთა სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია და წელიწადში თვითეული ფურიდან 5 ათას კილოგრამ რძეს იღებს. ის ცნობილია აგრეთვე როგორც მზრუნველი ცოლი და ჩინებული დედა, რომელიც ოთხ შვილს ზრდის.

1981 წლის ოქტომბერი. ჩეხოსლოვაკიის დასახლებული პუნქტი ლიდიცე. აქ ფაშიზმის მსხვერპლთა ძეგლ-მუზეუმს ქალთა მეექვსე საერთაშორისო კონგრესის დელეგატები ეწვივნენ. მათ შორის იყო ტანმორჩილი, ქერათმიანი ქალი, რომელსაც საოცრად ახალგაზრდულად უბრწყინავდა ცისფერი თვალები. აი, იწყება მიტინგი, მოედანზე გაისმის:

— სიტყვა ეკუთვნის სოფლის მასწავლებელს, ბელორუსიის მკვიდრს ზინაიდა რიდლევსკაიას. ის მამაცი პარტიზანი იყო დიდი სამამულო ომის წლებში!

სანამ ქალი მიკროფონთან მივიდოდა, დელეგატთა რიგებში ხელიდან ხელში გადადიოდა ომისდროინდელი ფოტოსურათი, რომელზეც ორი გოგონა და მათი მამა — წვერმოშვებული, მხარზე ავტომატგადაკიდებული კაცი იყვნენ გამოსახული. ეს რიდლევსკების პარტიზანული ოჯახი გახლდათ.

აი ზინაიდამ უკვე დაიწყო თავისი სიტყვა. ის ლიდიცეს ბელორუს დაზე — ხატინზე ლაპარაკობდა, ომიდან შინ დაუბრუნებელი ყოველი მეოთხე ბელორუსი მებრძოლის გმირობის ამბავს ყვებოდა, მისი სიტყვა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლას შეეხებოდა, მსოფლიოს ქალებს მშვიდობის განმტკიცებისათვის გაერთიანებას მოუწოდებდა.

მერე ზინასთან გუსტა ფუჩიკოვა მივიდა, გადაეხვია და მისივე სიტყვები გაიმეორა: „ჩვენ ერთად ვიქნებით ამ კეთილშობილურ ბრძოლაში“.

მე მხოლოდ ცალკეული ეპიზოდები გაგაცანით სამი ბელორუსი ქალის ცხოვრებისა. ჩვენ რესპუბლიკის თითქმის ათმილიონიანი მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ქალები შეადგენენ და თვითეულ მათგანზე, — მშრომელზე, დიასახლისზე, დედაზე, — დაუსრულებლად შეიძლება წერა. „შენ გზაზე ნამღერ ჰანგს მომაგონებ“, „შენ ნათელი ხარ, ვით გაზაფხული“. — ჩვენი ხალხი ყველაზე საუკეთესო ლექსებს, ყველაზე დამატკბობელ სიმღერებს ქალს უძღვნის, დედას, მეგობარს, ამხანაგს, სატრფოს; ქალს — თავის თანამედროვეს, ნაზსა და, ამასთან, — დამაშვრალს.

ქალი ჩვენს პლანეტას უფრო უკეთესს, უფრო მდიდარსა და მშვენიერს ხდის.

ქალი მეცნიერების საიდუმლოებათა სიღრმეს სწვდება და ახალი აღმოჩენების ავტორი ხდება.

ქალი სამყაროს სიცოცხლეს ანიჭებს და ამ სიცოცხლეს სიმხნევის ჟამსაც დაჭკნკალებს თავს და გაჭირვების დღეებშიც.

ქალი სრულუფლებიანი დიასახლისია, რომელსაც შეუძლია განკარგულება გასცეს თავის დიდ საბჭოთა ოჯახში.

მის ხელებს ერთნაირი სიმარჯვით უჭირავს ტრაქტორის საჭეც, მხატვრის ფუნჯიცა და ქირურგის დანაც.

დაუკვირდით ამ ციფრებს. ჩვენს რესპუბლიკაში ყველა მატერიალური და სულიერი სიმდიდრის ნახევარზე მეტი ქალის ხელით, მისი გონებითა და შემოქმედებით არის შექმნილი. ჩვენთან სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა 58,2 პროცენტი ქალები არიან. არის დარგები (ვაჭრობა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი მომსახურება), სადაც მათ უპირატესი მდგომარეობა უჭირავთ.

ბელორუსიაში ყოველი მესამე ინჟინერი ქალია, ტექნიკოსთა შორის კი მათი რიცხვი 40 პროცენტს შეადგენს. სპეციალისტ ქალთა 54 პროცენტი უმაღლესი განათლების მქონეა, 65 პროცენტი კი — საშუალო განათლებისა.

გლეხ ქალთა შრომაშიც დიდი ცვლილებები ხდება. დღეს მათ ტრაქტორისა და კომბაინის საჭესთან იხილავთ, მეფრინველეობის ფაბრიკისა თუ მეცხოველეობის კომპლექსის სამართავ პულტთანაც, კოლმეურნეობის მთავარ აგრონომად თუ მთავარ ზოოტექნიკოსადაც. რესპუბლიკის სპეციალისტთა 45 პროცენტი ქალები არიან. ბევრი მათგანი კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობასაც მესვეურობს.

ქალები ახალი ტექნიკის დანერგვის სათავეშიც დგანან და ბევრი მეცნიერული აღმოჩენის აკვანთანაც.

ბელორუსიის სს რესპუბლიკაში მეცნიერ მუშაკთა შორის 11 ათასზე ანუ 41



კოლმეურნეები ზ. კსენჟიკი და გ. მაზიუკი.



ფეხსაცმლის ფაბრიკის ვოკალური ანსამბლი.



მოწინავე მქსოველი მ. დუბოკი (ცენტრში) თავის შეგირდებთან.

პროცენტზე მეტს ქალები შეადგენენ. მეცნიერებასა, ტექნიკასა და კულტურაში შეტანილი დიდი ღვაწლისათვის სამიათას ხუთას ქალზე მეტს რესპუბლიკის საპატიო წოდებები აქვს მინიჭებული.

შეჯიბრებების მონაწილეთა, წარმოების ნოვატორთა, საინტერესო საქმეების თაოსანთა შორის ყველაზე საპატიო ადგილას ქალის სახელი ელვარებს.

სამშობლო დიდად აფასებს ქალების — თავისი შვილების შრომით წარმატებებს: ბელორუსიაში 64 ათასი მშრომელი ქალის მკერდზე ორდენები და მედლები ბრწყინავს, 204 ქალი კი ღირსეულად ამაყობს სოციალისტური შრომის გმირის წოდებით.

დედა, დიასახლისი, შრომაში დამაშვრალი... გინდა ყველაზე გამორჩეული სიტყვები მიუყენო ბელორუსიის პატრიოტ ქალებს. დიდი სამამულო ომის წლებში ვაჟკაცებთან ერთად მათ თავიანთ სუსტ მხრებზე გადაიტანეს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე, ფრონტზეც ებრძოდნენ მტერს და ზურგშიც — პარტიზანულ რაზმებში და იატაკქვეშეთში. ისინი მფრინავებიც იყვნენ, მზვერავებიც, სამხედრო ექიმები და ექთნებიც და პარტიზანულ პურსაც აცხობდნენ. მარტო პარტიზანულ რაზმებსა და ბრიგადებში 60 ათასი ბელორუსი ქალი იბრძოდა. მათგან 16 ათასი საბრძოლო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა, ათ ქალს კი საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ბევრი პატრიოტი ქალის სახელი ბრინჯაოთი და მარმარილოთი არის უკვდავყოფილი, ბევრისა — ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებით, ბევრის სახელი კი ქუჩებს, სკოლებს, მოედნებსა აქვს მინიჭებული.

ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით ახალგაზრდა ქალაქ ხოდინოში მონუმენტი აღიმართება საბჭოთა პატრიოტი დედების პატივსაცემად. დედის პირველსახედ იქცა ხოდინოს ყოფილი მცხოვრები ანასტასია კუპრიანოვა, რომლის ხუთმა ვაჟმა, მათ შორის საბჭოთა კავშირის გმირმა პეტრე კუპრიანოვმა სიცოცხლე შესწირა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ეს ძეგლი სიმბოლურად გამოხატავს დედის მშვენიერ, კეთილშობილურ და ჭეშმარიტად სპეტაკ სახეს, მისი სულის სილამაზესა და სიდიადეს.

და დღეს ბელორუსიის ქალები სკკპ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების, სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის ღირსეული შეხვედრის მონაწილეთა, მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისათვის, განიარაღებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში დგანან. მათი რესპუბლიკა ხომ ჩვენი დიდი სამშობლოს, საერთო ზრუნვისა და დიდების, იმ დიდი ქვეყნის ნაწილია, რომლის სახელიც, — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, — ამაყად ჟღერს! ბელორუსიამაც ხომ, ისევე როგორც სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებმა, გამარჯვების მწვერვალზე დღეს დამკვიდრებულ ადგილს მხოლოდ მეგობრობითა და ყველა საბჭოთა ხალხის ყოველდღიური ძმური დახმარებით მიაღწია! და სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლინადს ბელორუსიის ქალები კიდევ და კიდევ იმეორებენ თავიანთი პოეტის სიტყვებს: „გული მდიდარია დიდი მეგობრობით". ამ გრძნობით ვცხოვრობთ და ვმუშაობთ, ამ გრძნობით მივდივართ სსრ კავშირის იუბილეზე.

მარიამ კარპენკო,
ჟურნალ „რაბოტნიცა ი კრესტიანკას"
მთავარი რედაქტორი.



გულითადი შეხვედრა.

# მოლდაველი ქალები

1982 წელი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შევა როგორც ერთიანი საკავშირო მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის მე-60 წლისთავის წელი.

ვინ არ იცის მოლდავეთში ეს გამოთქმა: მიწა ყველა უბედურების მომტანიაო. ეს მოლდავურ მიწაზეა ნათქვამი, სამუდამოდ წარსულს ჩაბარებულ იმ წლებში, როცა მოლდაველი გლეხები გარიჟრაჟიდან გარიჟრაჟამდე წელში წყდებოდნენ მემამულისათვის, ლატაკად ცხოვრობდნენ, შიმშილობდნენ, როცა ამჟამად ესოდენ დოვლათიან მოლდავურ მიწას არავითარი მოვლა არ ჰქონდა, როცა მხოლოდ ერთსახნისიანი გუთანი იყო და ამ მხარის მრეწველობა წარმოების საერთო მოცულობაში სამ პროცენტზე ცოტა მეტს შეადგენდა. ამჟამად მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სხვა მოძმე ხალხებისა და, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის დახმარებით შექმნილია ინდუსტრიის ახალი დარგები მანქანათმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა, ელექტრონიკა, მსხვილი სამშენებლო მრეწველობა, მძლავრი ენერგეტიკა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა ეკონომიკის დიდად განვითარებულ დარგად გადაიქცა, სადაც წარმოებას საფუძვლად უდევს მანქანური ტექნოლოგიები და შრომის ინდუსტრიული მეთოდები. უმაგალითოდ განვითარდა კულტურა, მეცნიერება, განათლება, წლითიწლობით უმჯობესდება ჩვენი ადამიანების, თითოეული ოჯახის კეთილდღეობა, ძირფესვიანად შეიცვალა ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება და, რა თქმა უნდა, ქალისადმი დამოკიდებულება, ქალის როლი საზოგადოებაში. მოლდაველი ქალი დღეს თავისი მიწის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონია და ამაყი, თავისუფალი მიაბიჯებს საბჭოთა დების ერთსულოვან მრავალეროვან ოჯახში დიდი ოქტომბრის გაცისკროვნებული გზით. რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვში ქალები 51 პროცენტს შეადგენენ. პრაქტიკულად, არ არის სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის ისეთი დარგები, სადაც ქალები მომუშავეთა მნიშვნელოვან ნაწილს არ შეადგენდნენ. უმაღლესი და საშუალო განათლების სპეციალისტთა შორის ქალები 53 პროცენტზე მეტია. მეათე ხუთწლედი სამეურნეო მშენებლობის გაქანებით, მოლდაველ ქალთა სახელოვანი შრომითი საქმეებით, სახელოვანი პატრიოტული თაოსნობებით აღინიშნა. მოლდავეთის ფარგლებს გარეთ არიან რესპუბლიკის წარჩინებული მუშები ვალენტინა ფირსოვა, ვერა სახანი, მარიამ ბირიუკი, სიცილია სიმონოვა, ანა იუნაკი, მარიამ გიმპუ. მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში იშვა ახალი სახელები. მეათე ხუთწლედის შედეგებით შვიდი ათასზე მეტი მშრომელი ქალი დაჯილდოვდა მთავრობის ჯილდოებით. სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მოიპოვა № 4 რკინაბეტონის ნაკეთობათა და მსხვილპანელიანი სახლთსაშენებელი ქარხნის მეარმატურეთა და ელექტროშემდუღებელთა ბრიგადირმა ვერა ბუგამ. ლენინის ორდენით 42 მშრომელი ქალია დაჯილდოებული. ოქტომბრის რევოლუციის ორდენით — 81.

რესპუბლიკის ქალებს თავიანთი შრომი-

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირისა და მოლდავეთის რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი მარია ბიეშუ.





ეროვნული ბიბლიოთეკა



სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნატალია გეორგიუ.



სოციალისტური შრომის გმირი მარია გიმკუ.

თი წვლილის დონე არც მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს ჩამოუქვეითებიათ. 1981 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია შრომაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის მიენიჭა ორ ჩვენს მშრომელ ქალს — კიშინიოვის პურპროდუქტების კომბინატის მებურღულეს ლ. ბოგარუკს და ოკნიცის რაიონის კოლმეურნეობა „პრავდის" მანქანური წველის ოპერატორს გ. კურას. მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა შესრულებას ამთავრებს ვ. ოდობესკუ — სოციალისტური შრომის გმირი, ფეხსაცმლის გაერთიანება „ზორილეს" გამომჭრელი.

ჩვენ ვამაყობთ ბენდერის აბრეშუმის კომბინატის, ტირასპოლის საკავშირო ალკკ მე-40 წლისთავის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების, კიშინიოვის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანების „სტიაუაროშიეს", სკკპ XXIII ყრილობის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის, ხალხური მხატვრული სარეწების გაერთიანების ქალთა კოლექტივებით, რომლებიც მოწინავე ადგილებზე არიან რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებაში.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ქალთა მონაწილეობის შესაძლებლობას უწინარესად ის უზრუნველყოფს, რომ დღენიადაგ უმჯობესდება მათი შრომის პირობები, ეძებენ სამუშაო დროის ყველაზე ხელსაყრელი ორგანიზაციის გზებს, უმჯობესდება მშრომელ ქალთა მომსახურების სფერო, რასაც ადასტურებს პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებანი და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მი-



საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი დომნიკა დარიენკო.



მწერალი ანა ლუპანი

ე. სემიონოვის ფოტო.

ნისტრთა საბჭოს მოქდევნო დადგენილება „ბავშვიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად იმ საქონლის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის მუშაობის მდგომარეობის შესახებ, რომელიც ქალებს უმსუბუქებს შრომას საოჯახო მეურნეობაში“.

ქალთა ყოფა-ცხოვრების პირობებისა და შრომის დაცვის გაუმჯობესების საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობს მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისია. ამ ბოლო წლების მანძილზე კომისიამ განიხილა მოლდავეთის სსრ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, აგრარულ-სამრეწველო გაერთიანების საწარმოებსა და მეთამბაქოეობის მეურნეობებში ქალთა შრომის შესახებ არსებული კანონმდებლობის დაცვის, ფეხმძიმე ქალებისა და ახალშობილთა სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის, სკოლამდელთა დაწესებულებებში ბავშვთა აღზრდის მდგომარეობის საკითხები.

ქალთა რესპუბლიკურმა საბჭომ და მოლდავეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმთან არსებულმა ქალთა შორის მუშაობის კომისიამ გაერთიანებულ პლენუმზე განიხილეს სკკპ XXVI ყრილობის მოთხოვნათა მიხედვით მომუშავე ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკის პროფკავშირთა კომიტეტებისა და ქალთა საბჭოების ერთობლივი მუშაობის საკითხი.

საუკეთესო შრომითი გამოცდილების, მოწინავე თაოსნობების პროპაგანდის საკითხების გადასაჭრელად, ადგილობრივი ქალთა საბჭოების მუშაობა რომ გააქტიურებულიყო, ქალთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე იმსჯელეს კაუშანის რაიონის ქალთა საბჭოების საინტერესო მუშაობაზე. თითოეული ქალთა საბჭოს მუშაობაში მთავარია მშრომელ ქალებთან მუდმივი და ცოცხალი ურთიერთობა, მათი იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი დონის ამაღლება.

ადგილებზე ქალთა საბჭოების მუშაობის ყველაზე გავრცელებული და ეფექტიანი ფორმებია ქალთა აქტივები და საზეიმო კრებები, თეორიული კონფერენციები და ზეპირი ჟურნალები, საუკეთესო მშრომელი ქალებისადმი მიძღვნილი ზუჭურები, პროფესიაში საუკეთესოთა კონკურსები, ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების დათვალიერება-რეიდები, ომის, პარტიისა და შრომის ვეტერანებთან შეხვედრა-საღამოები, საოჯახო დღესასწაულები, პენსიაზე გაცილება, ქალთა კლუბები.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად მოლდავეთის ქალთა საბჭოები დიდ მუშაობას ეწევიან ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობისათვის. ისინი აქტიურად მონაწილეობენ კვირეულებში, რომლებიც ეძღვნება მოკავშირე რესპუბლიკების სოციალურ-ეკონომიკურ მიღწევებს, კულტურისა და მეცნიერების შემდგომ ზრდას, კოლექტივებში მეგობრობის ვახტების, საღამოების, დღესასწაულების, ესტაფეტების მოწყობას, ხელს უწყობენ ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების მუშაობის გააქტიურებას.

ყველა თაობის საბჭოთა ქალებს ტრადიციულად ახასიათებს პოლიტიკური აქტიურობა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კოლექტივებისა და საზოგადოების ყველა საქმეში უშუალო, ენერგიული, მუდმივი მონაწილეობა. ეს კარგი თვისებები კიდევ უფრო ვითარდება ჩვენს დღეებში, მომწიფებული სოციალიზმის პირობებში.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის რიგებში ქალები 24,5 პროცენტს შეადგენენ. სკკპ XXVI ყრილობის დელეგატთა შორის რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა 13 საუკეთესო წარმომადგენელი ქალი იყო, ხოლო მოლდავეთის კომპარტიის XV ყრილობის მუშაობაში 326 ქალი, ანუ დელეგატთა საერთო რიცხვის 28,5 პროცენტი მონაწილეობდა.

რესპუბლიკის ქალთა დიდ საზოგადოებრივ აქტიურობას მოწმობს მათი სადეპუტატო საქმიანობა: მოლდავეთის სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შორის 13 მოლდაველი ქალია (ანუ 30,3 პროცენტი), რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში — 138 (ანუ 36,3 პროცენტი), სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა დაახლოებით ნახევარი ქალია, კომკავშირის რიგებში ქალიშვილები და ქალები 50 პროცენტზე მეტს შეადგენენ. ქალები აქტიურად მონაწილეობენ პროფკავშირთა მუშაობაში. პროფკავშირის ყოველი მეორე წევრი ქალია.

ასრულებენ რა პარტიის გადაწყვეტილებებს, ქალთა საბჭოები აქტიურად უწყობენ ხელს ოჯახის — სოციალისტური საზოგადოების უმნიშვნელოვანესი უჯრედის — განმტკიცებას, ბავშვთა აღზრდისა და ოჯახის ბიუჯეტის რაციონალური გამოყენებისათვის, დედობისა და შრომითი და საზოგადოებრივ საქმიანობაში ქალთა აქტიური მონაწილეობის შეხამებისათვის საუკეთესო პირობების შექმნას.

სახელმწიფო დიდად ზრუნავს ოჯახის კეთილდღეობისათვის, დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვისათვის, მათი მატერიალური დახმარებისათვის. იმ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომლებიც უმსუბუქებს ქალს ბავშვების აღზრდას, — დამატებითი შვებულებები, ბავშვთა დახმარებების გადიდება, არასრული სამუშაო დღე, სამედიცინო ზედამხედველობის გაძლიერება, — გათვალისწინებულია ქვეყნის განვითარების ახალი ხუთწლედის ძირითადი მიმართულებებით. ყოველწლიურად მრავალშვილიან დედებს 5 მილიონ მანეთზე მეტი დახმარება ეძლევათ. 30 მილიონი მანეთი ხელმოკლე ოჯახების ბავშვებისათვის არის გამოყოფილი.

მალე ქალაქ კიშინიოვში დამთ[illegible] სამი სამშობიარო სახლის, ბავშვთა [illegible]ლინიკისა და ჩვენს ქვეყანაში დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი უდიდესი — 1000-საწოლიანი ცენტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებულია რამდენიმე სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების მშენებლობა. მეთერთმეტე ხუთწლედში კიდევ უფრო განვითარდება საბავშვო ბაგა-ბაღების ქსელი. ეს დაწესებულებები 66 პროცენტით დააკმაყოფილებს რესპუბლიკის მოთხოვნილებას. გათვალისწინებულია აშენდეს სულ ცოტა 32,5 ათასადგილიანი ბაგა-ბაღები.

ყველაფერი, რასაც დედები, მშრომელი ქალები აკეთებენ, ქვეყნად მშვიდობაზე ფიქრით არის გამსჭვალული. მშვიდობის უზრუნველყოფა იყო და არის საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის უზენაესი მიზანი.

1981 წელს პრაღაში გამართული ქალთა მსოფლიო კონგრესის მონაწილეთა იმ მოწოდების პასუხად, რომ აქტიურად ჩაებან მშვიდობისათვის ბრძოლაში, ქალთა საბჭოები, მოლდავეთის მშვიდობის დაცვის კომიტეტი ადგილობრივ განყოფილებებთან ერთად, ბევრ ღონისძიებას აწყო[illegible] [illegible]ლიდარობის მიტინგები გინდა თუ [illegible]შვ დობის ესტაფეტები და დღესასწაულები — „დაე, მუდამ იყოს მშვიდობა“. ისინი სახსრებს აგროვებენ მშვიდობის ფონდში შესატანად.

ქალაქ კიშინიოვის „სოვეცკის“ რაიონში მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩაიარა ქალთა შეკრებამ, რომელიც სკკპ XXVI ყრილობის და მოლდავეთის კომპარტიის XV ყრილობის მოთხოვნათა მიხედვით ახალგაზრდათა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის გაუმჯობესებისათვის რაიონის საწარმოებისა და ორგანიზაციების ქალთა საბჭოების ამოცანებს მიეძღვნა.

რესპუბლიკის ქალთა საბჭოები მრავალმხრივ საქმიანობას ეწევიან პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტით, რაც მათი საქმიანობის წარმატების საწინდარია.

მე მოკლედ მიმოვიხილე სსრ კავშირის მე-60 წლისთავის წელს საბჭოთა მოლდავეთის ქალთა ცხოვრება და მუშაობა და მინდა მივესალმო ჩვენს დებს — მზიური საქართველოს მკვიდრთ და ვუსურვო წარმატებები დასახული გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში, საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული პოტენციალის ზრდაში, რათა თავიანთი შრომით კვლავაც განამტკიცონ ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება.

**ა. მელნიკი,**

მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სახელოვანი მეცნიერი

# ნუმულიტი

უნივერსიტეტში რომ მივედი, ლექცია ის იყო იწყებოდა. კათედრაზე პროფესორი ნინო მრევლიშვილი ვიკითხე. ერთ-ერთი აუდიტორიის კარზე მიმითითეს, აქ ჩაატარებს ლექციასო. მეცადინეობაზე დასწრების უფლება ვითხოვე. ბოლო მერხზე სტუდენტების გვერდით დავჯექი და ზარმაც გაიწკრიალა. აუდიტორიაში ჩქარი ნაბიჯით ტანმაღალი, სანდომიანი ქალი შემოვიდა. ღიმილით მიესალმა სტუდენტებს და საუბარი დაიწყო. ამ ლექციაზე ალბათ წინა მეცადინეობაზე დაწყებული თემა გრძელდებოდა, მაგრამ ნათელი და გასაგები იყო ყველაფერი, რასაც დინჯად მოუთხრობდა მასწავლებელი მსმენელებს. დედამიწის ქერქის რთული აგებულების, მისი ევოლუციის, სტრატიგრაფიის, ქანების დათარიღებისათვის განამარხებული ფლორისა და ფაუნის მნიშვნელობის საკითხებზე საუბრობდა იგი. ყურადღებით უსმენდნენ სტუდენტები, რვეულებში ინიშნავდნენ და გეოლოგიურ რუკაზე თვალს ადევნებდნენ პედაგოგის ახსნილს.

დამთავრდა ლექცია და ნინო მრევლიშვილმა ჩემთან სასაუბროდ მოიცალა.

— თქვენ ალბათ გაინტერესებთ რა არის ნუმულიტები, რომელთა შესახებ ნაშრომმა ესოდენ მაღალი შეფასება დაიმსახურა? — მკითხა მან, როდესაც ჩემი მოსვლის მიზანი გავაცანი.

— ნუმულიტები პატარა ორგანიზმებია, რომლებიც დაახლოებით 65 მილიონი წლის წინათ გაჩნდნენ ოკეანეებში, ზღვებში, ცხოვრობდნენ ძირითადად სამხრეთულ ზღვებში. ეს იყო ხმელთაშუა ზღვის ზოლი... შემდეგ კავკასია, ტაჯიკეთი, სირია, ეგვიპტე. სამხრეთით ისინი მადაგასკარამდე ვრცელდებოდნენ, არსებობდნენ დაახლოებით 40 მილიონი წლის განმავლობაში. ძალიან სწრაფი ევოლუცია განიცადეს ამ ხნის მანძილზე. იმ დროის ნალექებში ისინი გვხვდებიან სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა სახით. ამიტომ მათი გამოყენება ნალექების ასაკის განსაზღვრისათვის, მათი დათარიღებისათვის ძალიან მოხერხებულია.

— პატივცემულო ნინო, დღეს თუ აქვს ამ მონაცემებს რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა?

— ამ ნამარხ ორგანიზმებს პრაქტიკულად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, როდესაც საქართველოში ნავთობი აღმოჩნდა. ისინი განამარხებული არიან სწორედ იმ ნალექებში, რომლებიც ნავთობიანობის თვალსაზრისით ძალიან პერსპექტიულია. ამიტომ ამ ნალექების დათარიღება, დეტალურად დანაწევრება ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ. ამავე ხნოვანების არის ბუნებრივი ცეოლითების დიდი საბადოები, ცეოლითებისა, რომელთაც, უეჭველად, დიდი გამოყენება ექნებათ სახალხო მეურნეობაში.

— მაინც რა საკითხებია გაშუქებული ნაშრომში, რომელმაც მელიქიშვილის სახელობის პრემია დაიმსახურა?

— ნაშრომი ძირითადად ორი ნაწილისაგან შედგება. ერთი წმინდა პალეონტოლოგიური ნაწილია, რომელიც ეძღვნება ნუმულიტების — ამ პატარა ორგანიზმების აღწერა-განსაზღვრას, შესწავლას და მეორე — რომელშიც მოცემულია ამ ორგანიზმების საშუალებით პალეოლოგიური ნალექების დეტალური დანაწილების, კერძოდ ზონალური დანაწილების ცდა. ეს არის უმცირესი სტრატიგრაფიული ერთეულები და მათი მნიშვნელობა ნებისმიერი ნალექების დანაწილებისათვის ძალიან დიდია. ყველაზე მნიშვნელოვანი, მე ვფიქრობ, ის არის, რომ აქ მოცემულია პალეოგენური ნალექების დანაწილების ცდა ზონებად არა მარტო საქართველოს ტერიტორიისათვის, არამედ მთელი ხმელთაშუა ზღვის პროვინციის პალეოლოგენური ნალექებისაც. ამდენად შრომის მნიშვნელობა არ იფარგლება მარტო საქართველოს პალეოგენური ნალექებით. ის საქართველოს ფარგლებსაც სცილდება და უეჭველად საყურადღებო იქნება საზღვარგარეთელი კოლეგებისათვისაც.

პროფესორ ნინო მრევლიშვილის ნაშრომს კარგად იცნობენ გეოლოგია-მინერალოგიის დარგის სპეციალისტები და მათი საერთო აღიარებით იგი მართლაც იმსახურებს მაღალ შეფასებას.

— რას გვეტყოდით მელიქიშვილის პრემიის ლაურეატის ამ გამოკვლევის შესახებ? — ვკითხეთ აკადემიკოს არჩილ ცაგარელს.

— პროფესორ ნინო მრევლიშვილის წიგნი ძალიან საინტერესო მოვლენაა პალეონტოლოგიაში, — გვითხრა მან, — ეს არის ერთ-ერთი უახლესი და ამავე დროს თავისი შინაარსით, მასალით უდიდესი ნაშრომი ნუმულიტების შესახებ. შესწავლის მეთოდი ნინო მრევლიშვილს ორიგინალური აქვს, თვითონ მასალა მდიდარია და უნიკალური. წიგნი კარგად არის გაფორმებული და მის შესახებ ცნობა უკვე გასულია უცხოეთშიც. მოდის მოთხოვნები ამ წიგნის გაგზავნის შესახებ.

ამიტომ, რასაკვირველია, არ იყო მოულოდნელი, რომ პროფესორ ნინო მრევლიშვილის წიგნს ესოდენ საპატიო პრემია მიანიჭეს.

ნინო გამოირჩევა დიდი ერუდიციით, დაჯილდოებულია პედაგოგიური ნიჭით. კურსი, რომელიც მას მიჰყავს, ძალიან საპასუხისმგებლოა და კვლევისა და სამეცნიერო მუშაობის ჩვევებს სტუდენტები სწორედ მასთან, ამ კურსზე იძენენ.

თავად მას კი ეს ჩვევა დიდმა მასწავლებელმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე ჯანელიძემ ჩაუნერგა. რა სითბოთი, სიყვარულით იხსენებს იმ წლებს, როდესაც მის გვერდით მოღვაწეობდა. მაშინ გეოლოგიის და პალეონტოლოგიის კათედრაზე ცნობილი მეცნიერები — გეოლოგები იყრიდნენ თავს.

ეს იყო გული ქართული გეოლოგიური სკოლისა, რომლის ფუძემდებელი ალექსანდრე ჯანელიძე გახლდათ. ეს იყო ნამდვილი სკოლა, რომლის გავლენას დღესაც ყოველ ნაბიჯზე განიცდის, ეს იქნება მეცნიერული კვლევა, თუ პედაგოგიური მოღვაწეობა. ის ადამიანები, რომლებიც ამ კოლექტივში იყვნენ გაერთიანებულნი, ახლაც თვალწინ უდგანან.

მის სამუშაო მაგიდაზე პატარა ყუთებში განამარხებული ორგანიზმების ნიმუშია მოთავსებული. შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს მათზე განამარხებული ფაუნის ნაშთები, საოცარი ხიზუნტით რომ შემონახულა ბუნების ამ დიდ საგანძურში.

— აბა, ახლა დახედეთ მათ, — მკვლევარი მიკროსკოპთან გვიწვევს. — დიდებული, გაქვავებული სამყარო იშლება თვალწინ. სულ უმცირესი ხაზები, ნაოჭები, წვრილი დეტალები თვალნათლივი და ხელშესახები ხდება. მათ შორის არის ნუმულიტები, რომელთა კვლევას მიუძღვნა ათეული წლები პროფესორმა ნინო მრევლიშვილმა.

ამ დარგის სპეციალისტი ძალიან ცოტაა საბჭოთა კავშირში. ისინი კარგად იცნობენ ერთმანეთს, კოლეგების საქმიანობას დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს. წარმატება პირველად მისმა ერევნელმა და ბაქოელმა კოლეგებმა სუსანა გრიგორიანმა და ტოფიკ მამედოვმა მიულოცეს ნინო მრევლიშვილს. იგი ამ დარგის ყველა კონფერენციისა და სიმპოზიუმის უცვლელი მონაწილეა. 1978 წელს დუშანბეში, ხოლო 1981 წელს ბაქოში ჩატარდა გეოლოგიის, ამ ვიწრო სპეციალობის მეცნიერთა შეხვედრა და აქაც ნინო მრევლიშვილი საყურადღებო მოხსენებებით წარსდგა მსმენელთა წინაშე.

— ძალიან მიყვარს სტუდენტებთან, ახალგაზრდობასთან მუშაობა — ამბობს ქალბატონი ნინო. — ალბათ არცერთ სხვა სამეცნიერო დაწესებულებაზე არ გავცვლიდი უნივერსიტეტს. იმიტომ, რომ ახალგაზრდებთან მუშაობა ბევრს გვავალებს პედაგოგებს. ეს გვავალებს, რომ ყოველთვის საქმის კურსში ვიყოთ მეცნიერების უახლეს მიღწევებზე. თქვენ წარმოიდგინეთ ხელოვნება, ლიტერატურა, სპორტი — აი, ყველა ამ დარგშიც საქმის კურსში უნდა ვიყოთ, რომ სტუდენტების წინაშე პირნათლად წარვსდგეთ და შეგვეძლოს მათთან ურთიერთობა.

სწავლების პროცესში შეიძლება დაინახო, მარგალიტივით გამოარჩიო სტუდენტი ნიჭიერი, ჭკვიანი, კარგი და ეს უდიდესი ბედნიერებაა, რომ შენგან ნასწავლი ახალგაზრდა მერე კარგ გზაზე დადგება. შეიძლება უშუალოდ შენ არ გაზარდო, სხვისი ასპირანტი გახდეს, მაგრამ სადღაც რომ მას მეცნიერების სიყვარული შენ ჩაუნერგე, დაანიარე, პატარა მარცვალი შენ ჩათესე მის გონებაში, ეს უკვე ძალზე დიდი საქმეა.

ამისათვის იღვწის დაუღალავად მეცნიერი ქალი.

ნანული ჭავჭანიძე



# მზიური ქარდავა

174 86

ამ ქალიშვილის ამბავი ხშირად მსმენია. ათი წლის წინათ ახსენეს პირველად მისი სახელი, ქალიშვილისა, რომელმაც შეჰბედა უზარმაზარ ჩაის საკრეფ მანქანას და მალე ჩინებულადაც დაეუფლა მის მართვას. მზიურიმ მალე მექანიზატორი კაცებიც კი უკან ჩამოიტოვა, თუმცა კი ქალისათვის ეს საქმე ძალიან მძიმეა.

რომ შეხედოთ, ერთი გამხდარი, მალალი, შავგვრემანი ქალიშვილია. მოკლედ შეკრეჭილი თმა აქვს, ბრიალა შავი თვალები და გრძელი ნაზი თითები, ზის საკრეფ ვეებერთელა მოცახცახე, მოგუგუნე მანქანაზე, მსუბუქად, ლამაზად მართავს საჭეს, არ ეპუება ქარს, სიცხეს, წვიმას, ალიონიდან ხშირბინდამდე დაუღალავად მუშაობს და შესვენების საათებითაც არ სარგებლობს. დედას სადილი მინდორში მიაქვს, და სულ იმაზე წუხს, რომ მისი ქალიშვილი ერთი ბეწო საჭმელზე გადადის და ვერ მიმხვდარა, საიდან აქვს ამდენი ძალღონე და გამძლეობა.

მექანიზატორის შრომა ადვილი როდია. ამიტომ გამოცდილება, დაკვირვების უნარი, პროფესიონალიზმი აქ ბევრ რამეს ნიშნავს. მშვიდი მუშაობით შეიძლება დღეში დაახლოებით ერთი ტონა მოკრიფო. თუ მანქანას კარგად არ ხარ დაუფლებული, არც მაშინ გექნება უკეთესი შედეგი, თუნდაც თავი არ დაზოგო. მზია ქარდავას კი ოთხ-ხუთ ტონამდეც მოუკრეფავს, რადგან, ერთი მხრივ, საუკეთესოდ იცნობს თავის საქმეს, და, მეორე მხრივ, დროს უფრთხილდება.

დღიურად რომ სამი-ოთხი ტონა ფოთოლი მოკრიფო, ეს მარტო იმას როდი ნიშნავს, რომ მთელი დღე შეუსვენებლივ მუშაობ და კარგად ფლობ მანქანას. ეს იმასაც გულისხმობს, რომ მომარაგებული გაქვს სათადარიგო ნაწილები და, როგორც კი რაიმე უწესივრობას შეამჩნევ, შეგიძლია სასწრაფოდ თვითონვე შეაკეთო. თუმცაღა მანქანა-ტრაქტორთა პარკს ჰყავს თავისი სპეციალისტები, მაგრამ ვიდრე მინდვრიდან პარკში მოხვალ, მათ მოსძებნი და უკან დაბრუნდები, ძვირფასი საათები იკარგება.

ორჯონიკიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ლულუნი ჭანტურიას როდესაც მზიას ამბავს ეკითხებიან, უყვარს ასეთი ციფრების მოშველიება: 1972 წელს, როცა მზიამ „საქართველოთი" პირველი მოსავალი მიიღო, — მისი შედეგი იყო 35.8 ტონა ფოთოლი; ხოლო მისმა თანასოფლელმა საუკეთესო მექანიზატორმა მამაკაცებმა: გივი შულაიამ, ორდე ძაძამიამ, გერონტი გვილიამ, შესაბამისად მოკრიფეს 34, 32, 39 ტონა ჩაის ნედლეული.

1973 წელს ეს ციფრები ასე გადაკეთდა: მზიურიმ მოკრიფა 38,5 ტონა, გივიმ — 40, ორდემ — 39, გერონტიმ — 34.

ხუთწლედის დამამთავრებელ 1975 წელს მზიურიმ შესძლო 44,4 ტონა „მწვანე ოქრო" მოეკრიფა, გივიმ — 42,2, ორდემ — 38, გერონტიმ — 53.

დაიწყო მეათე ხუთწლედის პირველი წელი. იქიდან მოყოლებული მზიური ქარდავა კაცებს პირველობას საბოლოოდ ჩამოართმევს. ქალიშვილის ჩაბარებულმა ფოთოლმა გასულ ხუთწლედში 417.6 ტონა შეადგინა, რაც შეეხება მის მეგობრებს: გივი შულაიამ 291,2 ტონა ჩაი დაამზადა. ორდე ძაძამიამ — 281,3, გერონტი გვილიამ — 319.3 ტონა.

შარშანდელი წელიწადი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მზიური ქარდავასათვის. ერთმა მექანიზატორმა თავისი ნაკვეთი მიატოვა, რომელიც სწორედ მზიურის ნაკვეთს ემიჯნებოდა, მზიას ბედნიერი აზრი მოუვიდა თავში. ის ნაკვეთიც შეუერთებინა და ორ სამექანიზაციო ფართობზე აელო მოსავალი.

მაგრამ ჩაის ფოთლის კრეფის განსაკუთრებული სიძნელე იქმნება მოკრეფილი ნედლეულის ჩაბარების მხრით: არ ჰყოფნით მანქანები და მექანიზატორები ძალზე დაძაბულნი არიან. მზიაც დააფიქრა ამან: ვთქვათ, ორი კაცის ნორმა მოკრიფა, მოსალოდნელია, დროულად ვერ გადაზიდოს და მაშინ საქმე ჩავარდება. მექანიზატორი ხომ მარტო არ კრეფს, ფაბრიკამდეც თან მისდევს ჩაის ფოთოლს... ხოლო თუ დღეში სამი, ოთხი, ხუთი ტონა ფოთოლი მოკრიფა, დაახლოებით ერთი მანქანა დასჭირდება მის გადატანას, ვინ დაუდგება თავმდებად, რომ დაკრეფილი ფოთოლი რამდენიმე დღე არ დარჩება პლანტაციაში? ხოლო თუ დაიცადა და მოკრეფილის დაბინავებას დაელოდა, ხომ ველარ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას? ამ დროს მზია ქარდავა უკვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი იყო და სიტყვის გატეხა საქვეყნოდ შეარცხვენდა.

ამიტომ გადაწყვიტა, ერთი სატვირთო მანქანა ეთხოვა რესპუბლიკის მთავრობისათვის. მართლაც, ჩააბარეს ახალი თვითმცლელი და მზიამ შარშან 201 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, როდესაც ნალენჯიხის რაიონის მექანიზატორებიდან ასს არავინ ასცილებია.

ასე გახდა მზიური ქარდავა სოციალისტური შრომის გმირი.



მილოცვები ყოველი კუთხიდან ზღვასავით წამოვიდა. პირველ ყოვლისა, თანასოფლელებმა მიულოცეს, მერე — ამ კუთხის ნაცნობ-მეგობრებმა. მზიური ქარდავას ახალთახალი, შავი გაზ-24 მარკის „ვოლგა" აქვს. გზადაგზა მძღოლები მანქანებს აჩერებდნენ, ულოცავდნენ და თავიანთ სიხარულს გამოხატავდნენ ქალიშვილის ამ ღირსეული ჯილდოს გამო. ბარათებიც მოსდიოდა ხშირად სრულიად უცნობებისგან. მიულოცეს თბილისელმა ამხანაგებმაც. მილოცვა მიიღო პაშა ანგელინას სახელობის მექანიზატორ ქალთა კლუბის გამგეობისაგან. მათ ხომ ის, კარგა ხანია, პაშა ანგელინას სახელობის პრიზით დააჯილდოვეს და ერთხელ მექანიზატორ ქალთა შეკრებაზეც მიიწვიეს.

თოვლი ორი კვირის აკრეფილი იყო სოფლის მინდვრებიდან, როცა მზიური ქარდავა გავიცანი. აპრილის დასაწყისი იდგა. და ქალიშვილი ჩაის ბუჩქებს სხლავდა. ხანგრძლივმა ზამთარმა ყველაფერი დაუგვიანათ. მზიური ქარდავა ძალიან წუხდა ამას: გასხვლიდან ფოთლის შემოსვლას დაახლოებით 40 დღე სჭირდება და კრეფის დასაწყისი ივნისის დასაწყისს ემთხვევაო — ამბობდა დაფიქრებული. წლეულს განსაკუთრებული წელიწადია ქართველი მეჩაიეებისათვის, რომელთაც გადაწყვიტეს ძველი სახელი აღუდგინონ ქართულ ჩაის. მექანიზატორებმა რომ მაღალხარისხიანი ფოთოლი მოკრიფონ, რაც შეიძლება ხშირად უნდა მივიდნენ თითოეულ ბუჩქთან, დუყები არ უნდა გაუხეშდეს. ამას კი მეტი სამუშაო დრო სჭირდება, ბუნების ჭირვეულობა კი მეტისმეტად უმცირებს კრეფის ვადებს ჩვენს მეჩაიეებსო. ამას სწუხდა მზიური ქარდავა, რომელსაც თავისი წლევანდელი ვალდებულება 220 ტონამდე გაეზარდა.

მეც დამაფიქრა ამ გარემოებამ, მაგრამ ანზორ ფიფიამ, კოლმეურნეობის



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. მარქსის სახ. სახ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარმა ინჟინერ-მექანიზატორმა დამაიმედა: მზიური ყოველთვის ასე ღელავს კრეფის სეზონის დაწყების წინ, მაგრამ სეზონის ბოლოსთვის მუდამ საკვირველ შედეგებს აღწევსო.

მზიური ქარდავამ თავისი „საქართველო" საქცევზე შემოატარა და ახალ მწკრივებს შეუდგა. ანზორ ფიფიამ კი, ვიდრე ქალიშვილი მობრუნდებოდა, მისი ერთი საიდუმლოებაც გამიმხილა:

მზიურის ღვაწლი ყოფილა, რომ ახალ მანქანებში ძველის ნაკლოვანებები გამოსწორებულია: გარსაცმებს ძალზე სუსტი შეერთებები ჰქონდა, უბრალო ქანჩები იჭერდა, რომლებიც მანქანის ძაგძაგში ეშვებოდა და გლეჯდა გარსაცმებს; ჭავლური განმანაწილებელი კონსტრუქციული არასრულყოფილების გამო ადვილად ფუჭდებოდა; მუხლები, სავენტილაციო გზის დასაწყისში რომ დგას, ვიბრაციისაგან ხშირად ტყდებოდა, რადგან სუსტი მასალისაგან იყო დამზადებული, ათ მანქანაზე კი სათადარიგოდ მხოლოდ ორ ცალს იძლეოდნენ. მზია მანქანის ნაწილებისათვის ქარხანაში ხშირად დადიოდა და იქაურ ინჟინერ-კონსტრუქტორებს ამ ნაკლოვანებათა შესახებ ესაუბრებოდა. და, მართლაც, ახლა „საქართველო" გაცილებით გაუმჯობესებულია.

მზიური რომ ხელმეორედ მოგვიახლოვდა, ლულუნი ჭანტურიამ უთხრა: გოგო, არ მოგბეზრდა მანქანის ქვეშ ძრომა და მაზუთში თხუპნა გასათხოვარ ქალს? მოდი, ბიძია, ახალგაზრდა მექანიზატორთა ბრიგადას უხელმძღვანელე, შენი საქმეც უკეთ წავა და ჩვენიცაო.

მზიურიმ შორს დაიჭირა, თუ მანქანაზე არ ვიქნები, სულაც წავალ ამ სოფლიდანაო.

თავმჯდომარემ განმიმარტა: არ იფიქროთ, თუ წავიდა, ჩაის თავს დაანებებსო. ჩაის საკრეფი მანქანებით არის დაინტერესებული. ასპირანტურაში უნდა ჩააბაროს და ისეთი მანქანა შექმნას, რომელიც მექანიზატორს შრომას შეუმსუბუქებსო.

მერე ის დრო გაიხსენა, როდესაც მზიური ქარდავამ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი დაუსწრებლად დაამთავრა და აგრონომის დიპლომი მოიტანა.

მზიური ქარდავამ ახლახან გადააცილა ოცდაათ წელს და უკვე საოცრად მდიდარი ბიოგრაფია აქვს. ძნელია მოთვალო, რამდენი ჯილდო, რამდენი ქების სიგელი და შეფასება დაუმსახურებია თავისი შრომით:

მიღებული აქვს ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენები, იყო საკავშირო კომკავშირის მე-18 ყრილობის დელეგატი, სოციალისტურ შეჯიბრებაში გაუმარჯვია და სამახსოვრო სურათი გადაუღია კრემლში... მასზე უამრავი დაწერილა.

ამჟამად მზიური ქარდავა ახალი გამარჯვებისათვის იბრძვის.

ეთერ სახვაძე



## ორი უკეთ არის, ვიდრე ერთი



გთხოვთ გაიცნობდეთ რეზო ნადაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ორმოცდარვა წლისა. საბურთალოზე ვცხოვრობ, ვაჟას პროსპექტზე, ერთოთახიანი ბინა მაქვს, თანაც ტიპური კი არა, ამხანაგური, ცასავით მაღალი ჭერით, ქუჩაზე გადაკიდებული განიერი აივნით, იტალიური ფილებით მოჭიქული აბაზანით.

როგორ ვცხოვრობ? — კარგად, ბატონო, კარგად, ეშმაკს ეწყინოს, მაგრამ ნამდვილად კარგად. ეს ბინა ხომ ვთქვი, ხელფასიც ისეთი მაქვს, თვეს რომ არ შეუშინდება.

— გამართული კაცი ყოფილხართ.

ჩემი მოსაუბრის სახეზე ღიმილი იფურჩქნება.

— მართალი ბრძანდებით...

— არ დაგიმალავთ, ფრთები უნდა მებას, რომ ყველგან მოვასწრო, ან როგორ ვუძლებ ამდენ საქმეს, საპალნეს — იქ საზოგადოებრივ საწყისებზე ლექციას ვკითხულობ ქართული ანბანის დაკარგულ სათავეებზე, აქ არქიტექტურის ეროვნულ გრაციაზე ვაკეთებ მოხსენებას, სხვაგან ბუნების ქომაგად ვდგავარ ტრიბუნაზე... პუბლიცისტურ წერილებსაც ვწერ. — ჩემს მოსაუბრეს ყურის გაცრეცილ ბიბილოში სიწითლე ჩაეღვარა, დაბლიდან გამომხედა და ჩაიკაკანა.

— გამომდის, კალამი მომყვება, ალბათ წაგიკითხავთ.

— დიახ, წამიკითხავს, კარგი მასალაა.

— მეც მაგას მოგახსენებდით, — მოკლედ, აქეთ-იქით, მაღლა, დაბლა და დღეც გაიქცა. სულ მოუცლელი ვარ, დაღლილიც, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია. ნაკლთან შერიგება ჩემთვის არ არსებობს — სხვანაირი ერისკაცი არა მწამს! — დაჰკრა ბეჭედი და გაჩუმდა.

მე არ ვიცი, ამ საუბარმა ან მე რა მომცა და ან შენ რა დაგიტოვა, ჩემო მკითხველო, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ის ერისკაცი ისე უცაბედად შემომეფეთა ქუჩაში, ლამის შუბლი შუბლს მივუჭახუნეთ...

„გამარჯობა" სავიზიტო ბარათებივით გავცვალეთ და ჩემმა ძველმა ნაცნობმა მოუშვა კიდეც — ალბათ თქვენც შეატყობდით, რომ ლაპარაკი მაინცდამაინც არა სძულს. მით უმეტეს, რომ ფილოლოგია, მოგეხსენებათ, ბერძნული ენიდან „სიტყვის სიყვარულად" არის გადმოღებული.

უკვე ვიცოდი, რომ წლები ისე წასულია, ოჯახისთვის საძირკველი ვერ გაუჭრია და ამ უცნაურ ერისკაცს ციდან მოვლენილი მთავარანგელოზივით ვათვალიერებ...

— ნუთუ ვერ მიცანი, ოთარი ვარ, ოთიკო ნადაშვილი, გახსოვთ... იქ... მაშინ... „ჭიხვინებს ბერკვიცი" და ჩემს მარჯვენა ხელს ანჯღრევს.

— როგორ არ გიცანით!

— ჰოდა, ძალიან კარგი, ალბათ გახსოვთ, აქვე ვცხოვრობ. ჩემთან ავიდეთ, მარტოხელა კაცი ვარ, ჭერს გაუხარდება. სტუმარი ოჯახის სითბოა...

— მე კი აქამდის ისე მეგონა, ოჯახის სითბო ქალის ნათელსა და ბავშვების ყრიამულსაც მოჰქონდა, — შევაგებე მე და თან თვალი მივადევნე, — ეს მოქნეული სილა ლოყაზე როგორ გაეკრა...

— არა სწყენია.

— ეჰ, — ხელი მოწყვეტით ჩაიქნია, — სხვა სხვის ომში მაკედონელია. ხომ იცით, ბედი ზოგს ყეფით მისდევს უკან, ზოგს კი წინ მიუძღვის და მაღალ ხალიჩას უფენს, მეც ასე დამემართა.

— ახლა რაღა გიშლით ხელს?

— ბევრი რამ — საქმის ფუსფუსი, გაქცევ-გამოქცევა... თანაც ამ ასაკში დაოჯახებას თვალების კარგი დახუჭვა უნდა. სისულელე აღარ ჰყოფნის ადამიანს და იმიტომ, ს ი-ს უ ლ ე ლ ე, — დამარცვლა ნადაშვილმა და საათზე დაიხედა, — რვა საათზე ერთ ორგანიზაციაში უნდა ვიყო, — მოხსენება მაქვს საქართველოს დემოგრაფიულ მონაცემებზე. ხომ იცით, ერს მარტო სვეტიცხოველი და გელათი, „ვეფხისტყაოსანი" და ნიჭის სხივი კი არა, რიცხვიც ინახავს. ეს კი ავიწყდება ჩვენს ახალგაზრდობას. მე რომ თმაზე ეს თბილი თოვლი არ მეყაროს, — თავზე გადაისვა ხელი, — ერთ გაზაფხულივით გოგოს დღესვე მოვიყვანდი და ჩემს ცხოვრებას ჩავაბარებდი, ნეტავ რას უცდიან, რა მიზეზი უდგათ წინ?!

— მაგის პასუხი თქვენ უნდა გეწეროთ მოხსენებაში.

— მიწერია კიდეც, მაგრამ ეს ხომ ნვრილმანია — ზოგს ხელფასი არა ჰყოფნის, ზოგს ბინა და სადგომი არა აქვს, მაგრამ ზვავი დალმართს არ ეძებს. ეს თუ გაკავებს, იქ არც ნამდვილი სიყვარულია, თორემ ქმარმა მიიწია, ცოლმა ჩაიწია და ცულის ტარმა ორივე დაიტიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ცოტა უხერხული ხომ არ არის თქვენგან მაგ მოხსენების გაკეთება, კითხვა რომ გესროლონ, თქვენ რამდენი ბავშვი გყავთო, რომელ კარებს უნდა ეცეთ, ერისკაცი ბრძანდებით და ტყუილს ხომ არ იკადრებთ.

ტუჩებს დამცინავი ღიმილი მფხანს, მაგრამ ჩემი ძველი ნაცნობი ზედაც არ მიყურებს, ისეა ერისკაცულ ფიქრებში ჩაძირული.

— მაგას როგორ შამეკითხებიან?

— ვითომ რა დაუშლით?

— მე, ბატონო, — ხელები გაშალა ნადაშვილმა, ერის სამსახურისთვის ვარ სახლიდან გამოვარდნილი. ამდენი საქმე მაბარია — აქეთ მეცნიერება, იქით სხვა კიდევ ათი ხელისა, და საქართველო მაპატიებს...

ისევ მე გავიხსენე და ნადაშვილი გავახარე.

— ილიას არ ჰყოლია შვილი.

— სწორია, არა ჰყავდა — თავს აქნევს ბერიკაცი.

— დავითსაც არ ღირსებია „მამის" დაძახება, საფლავზეც საქართველოს ცრემლი აყრია.

— აბა, კაცო...

— აქეთ ბესიკი, ბარათაშვილი, გალაკტიონი... იქით კიდევ...

— შოთას ბიოგრაფია დროს დაეკარგა, თორემ მისი მაგალითიც საინტერესო იქნებოდა...

— ფაქტები თქვენს სასარგებლოდ არის, — გნებდებით, მაგრამ ჩამოთვლილ პიროვნებებსა და თქვენს შორის მაინც ერთი მთავარი განსხვავებაა — უმეტეს მათგანს ცოლი ჰყავდა...

— ეგ მართლაც მძიმე არგუმენტია, — დამეთანხმა ნადაშვილი, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს სილოგისტური დასკვნისთვის. ვიფიქრე — ამან ისეთი ლაპარაკი დაიწყო, მეცნიერების ფრიალოზე გადამჩეხავს-მეთქი და გავჩუმდი.

— სახლში ისეთი მსუქანი ქათამი მაქვს, მაცივარშიც კი კაკანებს, კარგი ერბო-კვერცხიც მოვშუშოთ და ქეიფიც გამოგვივა.

— მერე მოხსენება?...

— არა უშავს, უფრო მაგრად შევუტევ ახალგაზრდობას.

— ნება თქვენია, კეთილი გული, კეთილი პური და ღიმილის მარილი, მეტი რა უნდა სტუმარს...

— ზედაც რამდენიმე ჭიქა მორცხვი ქინძმარაული...

— მერე ქეიფი ჩვენი და ფუნჯი ფიროსმანისა...

ვლაღობთ და ვიცინით, ერთმანეთს მხრებით ვეხლებით.

აი, ხომ ხედავთ, უცოლობასაც აქვს თავისებური სილამაზე — წარბებს მაღლა სწევს ნადაშვილი. უცოლო კაცს ახალგაზრდული ხალისი დაგდევს.

— მაგაზე კარგად თქვა ბარათაშვილმა...

— ვიცი... ვიცი... ყმაწვილი ბერიკაციო... ვიცი, მაგრამ დამჭკნარ ყვავილს ხომ უფრო მძაფრი სუნი აქვს, ვიდრე გუშინ ამოსულს და მიწაზე დანთებულს.

— არ გედავებით.

არ დაგღლი, მკითხველო, ისეც თავი მოგაბეზრე, საყიდელი ვიყიდეთ, ეს ყველაფერი ნადაშვილის გაშლილ მკლავებზე დავასვენეთ და მაღალ კორპუსსაც მივადექით.

— ეს არის, — დააზუსტა ნადაშვილმა. მეათე სართულზე უცხოვრია ბატონ ოთარს.

— დაბრძანდით, მოისვენეთ... მე ახლავე... ყველაფერს გავაჩენ... აი გაზეთები... აი ჟურნალები... გაერთეთ... ცოტა უწესრიგობაა მაგრამ ალბათ მაპატიებთ.

— უკვე გაპატიეთ!

— ახლავე... ახლავე... — ერთხელ კიდევ მომიგდო ნადაშვილმა და სამზარეულოში ქარიშხალმა გაიტაცა... მართლაც ვერ მოესწრო ნადაშვილს მილაგება — ჩემს წინ ქაოსის ცოცხალი სურათი იდგა — ვერ გეტყვით, ერთმანეთზე დახვავებული ობმოკიდებული ჭუჭყიანი თეფშები საწერ მაგიდაზე როგორ გაჩნდა. წიგნების კარადის თავზე შეგდებულ რეიტუზს ცალი ტოტი ისე სასაცილოდ ჩამოეშვა დაბლა, თითქოს ჩამოხტომა უნდა და ვერ გაუბედავსო, რაღაც გამოუცნობით თუ გამოცანით საყვავილედან ბორჯომის ცარიელ ბოთლს ამოეყო კისერი. ფანჯრის რაფაზე მოწყენილი ყვავილი ჩანდა. გაუწმენდავ ბროლის პატარა ჭაღზე შემომსხდარი ბუზები ისე მათვალიერებენ, თითქოს ერთმანეთს ეკითხებიან — ეს ვინ მოსულა და აქ რა უნდაო. კედელზე საათი წიკწიკებს. ცალი წინდა საწოლის ქვეშიდან იჭყიტება, მეორე ბატარეის კორპუსზე როგორ აცოცდა, ვერ გეტყვით. ახალი ცოცხი ისე ნებივრად მიჰყრდნობია კედელს, როგორც ეტყობა, მაინცდამაინც ბევრი საქმე არ უნდა ჰქონდეს. მაგიდაზე კონსერვის, მურაბის გახსნილი ქილების ისეთი ჭრელი სანაგვეა, თვალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ მოსწყვეტ. შესასვლელთან ჩამოკიდებულ სურათში შიშველი ქალი წევს და ნადაშვილის აშლილი და აჩეჩილი საწოლისკენ ისეთი იმედგადაწურვით იყურება, გულით მეცოდება. ჩამსხვრეული ფანჯრიდან ქუჩის გუგუნი და ხმაური შემოდის... ამ მტვრიანმა სიმშვიდემ და მონატრებულმა იდილიამ თუ დამქანცა, წამწამებს ველარ ვერევი. ის იყო თვალი მივლულე, რომ სამზარეულოდან ბოლი და მჭვარტლი ერთად გამოვარდა, მერე განწირულმა კივილმა ჭერი გახვრიტა. თვალს ვახელ — ჩემს წინ წინსაფარაფარებული ნადაშვილი დგას, ცოდვილი ბერის სახე აქვს, ხელში შავი ტალახით სავსე ტაფა უჭირავს და უცრემლოდ დასტირის.

— ეგ რა არის?

— ერბოკვერცხი.

— არ მეგონა თუ ქათამი შავ კვერცხსაც დებდა.

— დამეწვა ეს ოხერი, დიდი გაზი მიმიცია, — თქვა და ისევ სამზარეულოში გავარდა. მალე ისევ გამოჩნდა.

— გოჩა, მეძახის, — აბა ერთი წუთით შემოდი.

ნადაშვილი ქვაბში ჩაგდებულ ქათამს ჩანგლით უტრიალებს და ცალი ყბა უცახცახებს...

ყველაფერს მაშინ მივხვდი, როცა მდუღარიდან ჭაობის სუნი და მყრალი ამოვარდა.

— ჯერ უნდა კურტუმო ამოგეჭრა, გამოგეწელა, ამას ახლა არაფერი ეშველება.

— რა ვქნათ ახლა... დაგპატიჟე კაცი და, ა... სირცხვილი ვჭამე...

— მაგის მეტი დარდი ცხოვრებამ ნუ მოგცეს... ჩაიცვი... აქ ახლოს მშვენიერი კაფეა, დავსხდეთ და თან შენი მოხსენების გარშემო ვისაუბროთ...

კარებს ვკეტავთ და გამოვდივართ. ნადაშვილი თავჩაქინდრული მომყვება...

საბურთალოზე ქარი იცის... კაფეში სიმშვიდე და სისუფთავეა.

ნადაშვილი ჩუმად შეექცევა საჭმელს და ცალი ყურით მისმენს. ჭიქას ჭიქაზე ცლის.

— მოხსენება? — ვახსენებ მე.

— ეჰ, — ხელი ჩაიქნია ნადაშვილმა, — დამისხი!

— ოთარ!

— ჰო!

— ის განცხადება თუ წაიკითხე გაზეთში...

— რომელი განცხადება?

— ვიღაც ქალისა...

გაზეთი ამოვიღე და ფართოდ გავშალე...

— რა სწერია?

„მე შენმა თვალებმა მიმატოვეს,
დავიღალე უგზოდ სიარულში.
ვცვლი: სამოთახიან სიმარტოვეს
ერთოთახიან სიყვარულში...“

— შენი ბინა ხომ ერთოთახიანია, ოთარ!...

**ჯემალ აფციაური**





# ხელ-ფეხის მოვლა

**ლუბა შეწირული**
პროფესორი

ბოლო ხანებში ხაგრძნობლად განვითარდა საექიმო კოსმეტოლოგია. შეხედულება სილამაზეზე კაცობრიობის გარიჟრაჟზე ჩაისახა, ესთეტიკური მოთხოვნილებები თანდათან განვითარდა, ისინი გამუდმებით იცვლებოდა საზოგადოებრივი და საწარმოო ურთიერთობის ზეგავლენით. სილამაზის ცნება სხვადასხვა ხალხისათვის სხვადასხვაგვარია. საბჭოთა ქვეყანაში სილამაზეზე განსხვავებული შეხედულება ჩამოყალიბდა: მდიდარი შინაგანი ბუნებისა და გარეგნობის შერწყმა, როგორც ჯანმრთელობის გამომხატველი; სასიამოვნო გარეგნობა სილამაზის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია.

ამჯერად ჩვენ მოკლედ შევჩერდებით ხელ-ფეხის კანის მოვლაზე.

ძველი ანდაზა ამბობს: ქალის ასაკის განსაზღვრა ხელებისა და კისრის კანის მიხედვით შეიძლებაო, ზოგჯერ ასეც იტყვიან: ხელები ლაპარაკობენო. გრძელი, თხელი თითები, ლამაზი ფრჩხილები და ვიწრო მაჯა მეტწილად მემკვიდრეობითია, ხოლო შრომა მათ სპეციფიკურ ფორმას აძლევს.

ხელების მოვლას მარტო ესთეტიკური კი არა, ჰიგიენური მნიშვნელობაც აქვს. სხეულის სხვა ნაწილებზე უფრო ხელები გვიჭუჭყიანდება. მათზე გამუდმებით მოქმედებს სხვადასხვა გარეგანი ფაქტორები, რის გამოც ის უნდა დავიცვათ ამ გამღიზიანებლებისაგან. ხელების კანი მუდამ სუფთა, რბილი და ელასტიკური რომ გქონდეს, საჭიროა სწორად და სისტემატურად მოვუაროთ.

ხელის ზედაპირი დაფარულია ცხიმის მეტად თხელი ფენით, რომელიც კანს ელასტიკურობას ანიჭებს და იცავს მავნე ფაქტორების ზეგავლენისაგან. ხელისგულზე კი ცხიმი სრულიად არ არის, ამიტომ ხელების ხშირი ბანვა კანზე ცუდად მოქმედებს. საპონი და წყალი კანს ცხიმს აშორებს, კანი შრება, ნაოჭდება, უხეშდება, იხორკლება, იქერცლება და ზოგჯერ სკდება კიდეც. ამიტომ, თუ ხელების ხშირი ბანვა გვჭირდება, მას მეტად უნდა მოვუაროთ.

ხელების დასაბანად კარგია ოთახის ტემპერატურის გრილი (15-20°), რბილი გადადუღებული, სოდიანი ან ძმრიანი წყალი (1 სუფრის კოვზი 1 ლიტრ წყალზე) და ხელსაბანი ნეიტრალური ან ცხიმიანი საპონი — „დეტსკოე“, „იაიჩნოე“, „კოსმეტიჩესკოე“, „სპერმაცეტოვოე“ და სხვა. ჭუჭყიანი სამუშაოს შესრულებისას ხელთათმანები ან დამცველი კრემები („სილიკონოვი“, „პრიზი“, „ლუქსი“) გამოიყენეთ. ამავე მიზნით შეიძლება ხელებზე რომელიმე ცხიმი შეიზილოთ (ქონი, კარაქი, ზეთი). ძლიერი ჭუჭყის მოსაშორებლად კანი აცეტონში ან ბენზინში დასველებული ბამბით გაისუფთავეთ, მაგრამ ის კანს აღიზიანებს და ამიტომ მაშინვე საპნით დაიბანეთ, ძმრიანი ან ლიმონისსიმჟავიანი წყალი გადაივლეთ და მკვებავი კრემი შეიზილეთ, რადგან ეს უკანასკნელი, გარდა იმისა, რომ კანს არბილებს, ხელს უწყობს მისი ფიზიკური და ქიმიური თვისებების აღდგენას. ჩირქოვანი დაავადებების პროფილაქტიკისათვის კარგია თუ დაბანის შემდეგ ხელებზე ნიშადურის ხსნარს გადაივლებთ (1 ჭიქა წყალზე 1 ჩაის კოვზი ნიშადურის სპირტი).

იმის გამო, რომ ბოლო წლებში სარეცხის

ფხვნილებს და სხვა საოჯახო ქიმიურ შენაერთებს ვიყენებთ, საგრძნობლად გახშირდა კანის დაავადებები, ალერგიული გამონაყარით. ეს ნივთიერებები შლის და კანს სრულიად აშორებს ცხიმს. ამრიგად, ხელების დაცვა საჭიროა წარმოებაშიც და საოჯახო საქმიანობის დროსაც. როცა ხამხარეულოში საქმეს მორჩებით, კარგია თუ ხელებს 5-8 წუთით სოდიან თბილ წყალში ჩააწყობთ, შემდეგ მაწონს, კეფირს ან რძეს გადაივლებთ, ან შეიძლება კიტრის ლოსიონი, ტუალეტის ძმარი ან ლიმონის წვენი გადაისვათ (ბამბით), რომლებიც, გარდა ჭუჭყის მოშორებისა და ხელების დარბილებისა, კანს ათეთრებს, ბოლოს კი თხელი ემულსიური მკვებავი შეიზილეთ და ხელი კარგად შეიმშრალეთ, რადგან სველი კანი ჰაერისა და სიცივის ზემოქმედებით შრება, უხეშდება და სკდება.

ხელებზე კანის ძლიერი სიმშრალისას დაბანვის შემდეგ შეგიძლიათ გლიცერინისა და წყლის თანაბარი რაოდენობის ნაზავი გადაივლოთ, ან საღამოობით შემთბარი ზეითუნის, ატმის, ნუშის ზეთი შეიზილოთ და ქაღალდით შეიმშრალოთ.

თუ ხელები ძლიერ გაგიცივდათ, შეიძლება დაგისივდეთ და კანი გაგილურჯდეთ. ამ დროს სისხლის მიმოქცევის გასაუმჯობესებლად გაიკეთეთ კონტრასტული აბაზანები (ცივი და ცხელი წყლის შენაცვლებით, 6-8-ჯერ).

ქალს (40 წლის ასაკიდან) ზოგჯერ ხელებზე მოყავისფრო ლაქები უჩნდება, რაც მეტწილად ღვიძლის პიგმენტაციის ფუნქციის მოშლას მოწმობს. ასეთ შემთხვევაში მიზეზობრივი მკურნალობის პარალელურად, ლაქების გასაუფერულებლად კარგია მათი სისტემატური გასუფთავება 8 პროცენტიანი წყალბადის ზეჟანგით, ლიმონისა და კიტრის წვენით.

ზოგჯერ იდაყვზე კანი მუქდება და უხეშდება, ასეთ ლაქებზე 10-15 წუთით ლიმონის სიმჟავე და შემდეგ მკვებავი კრემი შეიზილეთ.

ასევე დიდი მოვლა სჭირდება ფეხის კანს. ფეხის გულზე უხვად არის ოფლის ჯირკვლები, რის გამოც ხშირია ჭარბოფლიანობა. ფეხის თითებს შორის კანი შეთეთრდება, აიჭერცლება და დასკდება, ეს კი ხელს უწყობს სხვადასხვა მიკრობებით და სოკოპარაზიტებით დასნებოვნებას უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ფეხების დაბანვა საპნით ზაფხულში ყოველდღე, ზამთარში კი კვირაში 3-4-ჯერ. დაბანვის შემდეგ ფეხებზე ცივი წყალი გადაივლეთ და კარგად გაიმშრალეთ, განსაკუთრებით თითებს შუა, შემდეგ დაიზილეთ ოდეკალონით, ტუალეტის ან სუფრის ძმრით, ან კიტრის ლოსიონით, დილით კი მოიყარეთ ოფლის საწინააღმდეგო ფხვნილი (ბორისა და სალიცილის სიმჟავის ნაზავი), ან მოისხურეთ აეროზოლი, ან თეიმურიოვის პასტა შეიზილეთ. ჭარბოფლიანობისას ასევე კარგად მოქმედებს კაკლის ფოთლების, მუხის ქერქის ან გვირილის ნახარშის, ჰაერის, მზის აბაზანები და ზღვაში ბანაობა. ოფლის საწინააღმდეგო საშუალებების ჭარბად გამოყენება მიზანშეწონილი არ არის, რადგან კანი ძალიან გაშრება და დასკდება. აუცილებლად ბამბის წინდები ჩაიცვით და ყოველდღე იცვალეთ, ნეილონისა და კაპრონის წინდები კი აფერხებს ოფლის აორთქლებას. არ შეიძლება რეზინიანი წინდების (ის ხელს უწყობს ვენების გაგანივრებას). რეზინისძირიანი და ვიწრო ფეხსაცმლის ჩაცმა. საჭიროა მათი სისტემატური განიავება მზეზე და ყინვაში.

მუშაობის ან სიარულის შემდეგ დაღლილი ფეხები სწრაფად დაისვენებს, თუ სოდიანი, კარლსბადის ან სუფრის მარილიანი ხსნარის ცხელ აბაზანას გაიკეთებთ და კრემს შეიზელთ, შემდეგ წამოწვებით და ორივე ხელის გულს კოჭებიდან მუხლებისაკენ ჩამოისვამთ (მონაცვლეობით მარჯვენა და მარცხენა ფეხზე 3-4-ჯერ), ბოლოს კი 10-15 წუთით ფეხებს ბალიშზე დააწყობთ.

თუ ფეხებზე კანი გაგიუხეშდათ, ან კოჟრები გაგიჩნდათ, საპნიან-სოდიანი ცხელი აბაზანები გაიკეთეთ, კანი ბლაგვი დანით ან პემზით გაისუფთავეთ და მკვებავი კრემი შეიზილეთ.

დიდ მოვლას საჭიროებს ხელ-ფეხის ფრჩხილებიც. თუ ფრჩხილების გასქელება, გათხელება, ფერის შეცვლა, მის ზედაპირზე დალარვა და წერტილოვანი ჩანაჭდევები შენიშნეთ, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს.

ბავშვები ზოგჯერ ფრჩხილებს კბილებით იკვნეტენ. ამის გადაჩვევა შეიძლება, თუ მათ თითებზე რომელიმე მწარე ხსნარს (ქინაქინას, ალოეს წვენს) წაუსვამთ.

ფრჩხილები მუდამ მოვლილი რომ გქონდეთ, სისტემატურად გაიკეთეთ მანიკიური და პედიკური, მაგრამ გახსოვდეთ, ის სისუფთავის განსაკუთრებული დაცვით თუ არ შესრულდა, შეიძლება ფრჩხილების მოვლის ნაცვლად დიდი ზიანი მოგიტანოთ. ამის დასტური ისიც გახლავთ, რომ ბოლო ხანებში საგრძნობლად გახშირდა ასეთი პროცედურების შედეგად სოკოვანი დაავადებების გავრცელება, ამიტომ სოკოვანი დაავადებებისაგან სრულ განკურნებამდე პედიკურისა და მანიკიურის გაკეთება არამც და არამც არ შეიძლება. საჭიროა დაუყოვნებლივ მიმართოთ დერმატოლოგს — კანის ექიმს.

ძალიან შემაწუხებელია ფრჩხილების ჩაზრდა, რის გამოც ავადმყოფები პედიკურის ხშირ გაკეთებას ირჩევენ, რომლის დროს, იმის ნაცვლად, რომ ფრჩხილი სწორად გადაჭრან, მის კუთხეებს ღრმად ჩაჭრიან ხოლმე, რასაც შედეგად მოსდევს ახლად წამოზრდილი ფრჩხილების კიდევ უფრო ღრმად ჩაზრდა და ირგვლივ ქსოვილის მწვავე ანთება (ძლიერი ტკივილებით და სიარულის გაძნელებით).

ამრიგად, ლამაზი ხელები და ფეხები რომ დიდხანს შევინარჩუნოთ, საჭიროა მათი სისტემატური სწორი მოვლა, ხოლო კანისა და ფრჩხილების დაზიანებისას — მკურნალობა.

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲒᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ

## ᲕᲘᲓᲠᲔ ᲨᲔᲜ ᲛᲧᲐᲕᲮᲐᲠ.

### ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ ᲓᲔᲓᲐᲖᲔ

რა დამაბერებს, რა დამაღონებს,
ვიდრე შენ მყავხარ, ძვირფასო დედავ!
შენ ჩემს ძილსა და შრომას დარაჯობ,
ყველაფერს ზომავ, ყველაფერს ხედავ.

დაე, დამსეტყვოს უნდილთა სიტყვამ —
ბურუსს გაფანტავ ნუგეშის ცემით,
და თუ ოდესმე აღარ იქნები,
მაშინ იკითხე ობლობა ჩემი!

ვიდრე შენთან ვარ, ვინ რას დამაკლებს,
თუნდაც ვიბრძოდე მშიერ-მწყურვალი!
რაც გინდა მძიმე ლახვარი დამკრან,
მოგეხახება სიტყვა მკურნალი.

იმედის სარკმელს ღიმილით აღებ,
წუხილის სენაკს დუმილით კეტავ...
არა მიჭირს რა, ვიდრე შენთან ვარ,
ვიდრე შენ მყავხარ, მაშვრალო დედავ!

## ᲛᲣᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲡ...

ვისაც სურს ნახოს სიკეთე ჩვენი,
შეხედოს თამარს, მთაწმინდას, მცხეთას...
აქ დაუბერტყავს სიუხვის კალთა
კეთილშობილი მუზების დედას.

ჩემი გამრჯე და ალალი ხალხი
ყველაფერს ზომავს, ყველაფერს ხედავს;
არც დაივიწყებს აროდეს ჩვენდა
რჩა სიუხვისა მუზების დედას!

## ᲛᲗᲐᲨᲘ

ეთამაშება არწივი ღრუბლებს,
მყინვარს რძისფერი შვენის ვარაყი
და ლაღი მთების მესაიდუმლე
მოუსვენარი მღერის არაგვი...

უკან მოძახის ექო მთებისა,
აქ შევჩერდები გზისგან დამშვრალი,
ქარი ქარაფებს მისდევს აშარი,
რომ შევსვა წყარო უკვდავებისა.

ესაუბრება ყვავილებს ქარი,
ზეცას ულიმის ლურჯთვალა ია,
ხალასი თქვენდა, ნაბანი ცვარით
მთაში გაზრდილო დეკავ და ღვიავ...

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲛᲐᲭᲐᲙᲘᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამკაული უნდა გვამშვენებდეს







ადამიანი მუდამ იმას ცდილობდა, როგორმე თავი გაელამაზებინა და შეემკო სწორედ ამიტომაც საიუველირო ოსტატობა, ალბათ, პირველყოფილ საზოგადოებიდან იღებს სათავეს. ჯერ კიდევ ძველ აღმოსავლეთსა და ეგვიპტეში საუკეთესოდ ფლობდნენ ძვირფასთვლიანი ოქროსა და მინანქრიანი ნივთების დამზადების საიდუმლოებას. ბეჭდები, ყელსაბამები, დიადემები, პატიოსანი თვლებით მოოჭვილი რეგალიები და იარაღი! ყოველივე ეს გვიხილავს ეგვიპტის ფარაონის ტუტარხამონის აკლდამის საგანძურის დათვალიერებისას. ჯერ კიდევ ძველ ბაბილონში კარგად იყო ცნობილი ძვირფას ქვაზე ჭრისკვეთის ხელოვნება.

ეგვიპტეში ინახება უამრავი ოქროს სამკაული, რომლებიც სკვითების სამარხებშია აღმოჩენილი და ჩვენს ერამდე IV საუკუნით თარიღდება, ესენია საყურეები, გულქანდები, სამაჯურები, სავარცხელი შერკინებული მეომრების გამოსახულებით და ა. შ.

ხშირად სამკაულებს ავგაროზადაც იყენებდნენ. დღევანდლამდე ცოცხლობს რწმენა „ბედნიერ" და „უბედურ" თვლებზე იმისდა მიხედვით, თუ რომელ ვარსკვლავსა ან ზოდიაქზეა ადამიანი დაბადებული. მაგალითად, მუსულმანები ბედნიერ თვლებად თვლიდნენ სარდიონს, ფირუზსა და მარჯანს. სარდიონსა და ფირუზს პატრონისათვის თითქოს სიმშვიდე და ბედნიერება მოჰქონდა, მარჯანს კი ჯანის სიმრთელე. ჯერ კიდევ ახლო წარსულში შუა აზიაში ძუძუთა ბავშვებს სხვადასხვა თვლიან საყურეებსა და მძივებს ჰკიდებდნენ. უპირატესობას ფირუზს ანიჭებდნენ, რომელიც თითქოს „გულის სიმაგრეს სძენდა და სენისაგანაც იცავდა".

შუა საუკუნეებში რუსეთსა და ევროპაში დიდი მოწონებით სარგებლობდა პატიოსანი თვლები: ლალი, საფირონი, ბივრილი (ზურმუხტის სახეობაა). ამ თვლებს აპრიალებდნენ და მომრგვალო ფორმებს აძლევდნენ. ალმასისადმი ინტერესი კი მხოლოდ მაშინ გაჩნდა, როცა მისთვის წახნაგების გაკეთება შესძლეს.

პეტრე პირველის ხანაში ძვირფასი თვლებისადმი ლტოლვა ნაკლები იყო. სამაგიეროდ ელიზავეტა პეტრეს ასულის დროს მთელი ძალით აბრდღვიალდა ამეთვისტო, ზურმუხტი და საფირონი. ეს გახლდათ ზეაწეული ბაროკო.

ეკატერინე მეორის მეფობისას ევროპიდან როკოკოსთან ერთად ბრილიანტის მოდაც შემოვიდა; ხელმწიფის დიდი გვირგვინი, რომელიც 1762 წელს მეფედ კურთხევის ცერემონიისათვის პეტერბურგელი იუველირის პოზიეს მიერ იყო შესრულებული, ხუთი ათასი ბრილიანტით იყო მოოჭვილი.

ჩვენს საუკუნეში მსოფლიოს ბევრი უდიდესი მხატვარი დიდის ნიჭიერებით ჰქმნიდა და ჰქმნის საიუველირო ნივთებს. ცნობილია პიკასოსა და სხვა ხელოვანთა ესკიზებით შესრულებული უმშვენიერესი სამკაულები. ოღონდ, ისინი, რა თქმა უნდა, მხოლოდ გამოფენებს ამშვენებენ. ხოლო, რაც შეეხება იმ სამკაულებს, რომლებსაც მილიონერები კი არა, ჩვეულებრივი ხალხი იკეთებს, მათში ზუსტი კანონზომიერება იგრძნობა. ოქროსა და ვერცხლის პატიოსანი თვლებით მოოჭვილი სამკაულები, მოდის ყოველგვარ ცვალებადობას უძლებს და დახვეწილი — „კლასიკური" სტილისა რჩება. ასეთ სამკაულებს მთელი ცხოვრების მანძილზე იკეთებენ და შვილებსა და შვილიშვილებს გადასცემენ მემკვიდრეობით.

სულ სხვაა მასიური საიუველირო პროდუქცია — „ბიჟუტერია". იგი დიდად არის დამოკიდებული მოდაზე, ტანსაცმელსა და თმის ვარცხნილობაზე, მოკლედ შეჭრილ თმას ე. წ. „სესუნსა" და ხალხური სტილის ტანსაცმელს რგოლისებური საყურეები უხდება. როცა მოდაში გრძელი თმა შემოვიდა, მას რგოლები და გრძელი საყურეები აღარ დამშვენდა. ამიტომ პაწია „მარცვლისებური" საყურეების გაკეთება დაიწყეს. ხოლო, როცა ქალებმა თმა აიწიეს, და კეფა და ყელკისერი გამოიჩინეს, კვლავ გავრცელდა გრძელი „კლიპსები" და საყურეები. ორმოციანი წლების სტილის ტანსაცმლისა და თმის ვარცხნილობის გამოჩენისთანავე დიდი მოთხოვნილება გაჩნდა თმის იუველირ სარჭებზე, დავიწყებულ ძველებურ გულსაბნევებზე „ბროშებზე".

ახლა მოდაშია დაკიდებული საყურეები და ძეწკვები, მოკლე მძივები (უფრო ხშირად ფერადი ქვებისაგან), „კლიპსები" გულსაბნევები და ლითონის სამაჯურები.

ჩვენთან — საბჭოთა კავშირში მოდას განსხვავებული ეროვნული გემოვნებაც ერთვის თან. მაგალითად, შუა აზიაში მუდამ უყვარდათ და უყვართ ჭახჭახა წითლისა და ცისფრის შეხამება; ლიტვასა და ლატვიაში სიამოვნებით იკეთებენ ქარვას, ესტონელებს კი რატომღაც ძვირფასი ლითონი ურჩევნიათ.

რევოლუციის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში არ ეცალათ საიუველირო ნივთების მასიური წარმოებისათვის. თანაც სამკაულებს კარგა ხანს „წარსულის გადმონაშთად" თვლიდნენ. საიუველირო წარმოება მხოლოდ ომის შემდეგ განვითარდა. დღეს დღეობით მარტო ლენინგრადის გაერთიანება „სამოცვეტი" ყოველწლიურად 800 სხვადასხვა მოდელის საიუველირო ნივთს უშვებს და მათი ტირაჟი თანდათან იზრდება.

გაჩნდა საინტერესო კანონზომიერება. ახალგაზრდა (30 წლამდე) ქალები მეტწილად ყიდულობენ ბეჭდებს, 31-დან 40-წლამდე — საყურეებსა და სხვა სამკაულებს. ორმოცი წლის შემდეგ სამჯერ მცირდება მოთხოვნილება ბეჭდებზე, ორჯერ — საყურეებზე. უფრო მეტად ეტანებიან გულსაბნევებს, ძეწკვებსა და გულქანდებს, ახალგაზრდობა უფრო „ფანტაზიურ" ფორმის ნივთებს ირჩევს, ხნიერები კი მშვიდსა და მკაცრს — კლასიკურს... ისე კი, ყველას სურს გასაყიდად იხილოს უფრო ხელმისაწვდომი ნივთები — პატარები, აჟურულები, სადაც ოქრო, ვერცხლი და სხვა ლითონი თვლებისათვის სიფრიფანა ჩარჩოდ არის გამოყენებული.

დღეს საიუველირო მრეწველობა ფართოდ იყენებს ნახევრადძვირფას და სინთეტურ ქვებს, კრისტალებს, რომლებიც ხელოვნურად არის გამოყვანილი. ასეთები ახლა ბევრია: ლალი და საფირონი, ამეთვისტო და ალექსანდრიტი, რომლებიც ბუნებრივს არაფრით ჩამოუვარდებიან. (გარდა, რა თქმა უნდა ფასისა). საბჭოთა კავშირში ლალის ხელოვნურად გამოსაყვანად დანადგარი 20-იან წლებში შეიქმნა, საიდანაც დაიწყო მისი სამრეწველო დამუშავება, ასევე ისწავლეს ლაბორატორიებში ლამაზი ზურმუხტის, ალექსანდრიტის, ამეთვისტოსა და ძოწის გამოყვანა. ალმასის მშვენიერი იმიტაცია გახლავთ „ფიანტი". საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულმა ფიზიკის ინსტიტუტმა შექმნა ლამაზი, ელვარე წახნაგებიანი ქვები, რომლებიც ბრილიანტს არაფრით ჩამოუვარდება.

ხელოვნური მარგალიტის გამოყვანა პირველად იაპონიაში დაიწყეს: ნორჩ ნიჟარებში დებენ სადაფის პაწია ბურთებს, უშვებენ ზღვაში და 5-8 წლის შემდეგ მარგალიტს იღებენ. თუ მათ ძლიერ შუქს მივანათებთ, გარკვევით დავინახავთ სადაფის ბირთვს, გარსიც უფრო თხელი აქვს, ვიდრე ნამდვილ მარგალიტს, ამიტომაც იგი გაცილებით ნაკლებად ფასობს, თუმცა მეტად ლამაზია და თავად ბუნების მიერ არის შექმნილი.

1966 წლიდან ლენინგრადის საიუველირო წარმოებაში მუშაობს მხატვრული მოდელირების განყოფილება. აქ ქმნიან საიუველირო სამკაულების პერსპექტიულ ნიმუშებს, რომლებსაც შემდეგ ფაბრიკებს გადასცემენ.

მხატვრულმა საბჭომ პრემიები მიანიჭა ურალის ქვებით შესრულებულ სამკაულებს, რომლებსაც მცირე პარტიებად გამოუშვებენ.

და ბოლოს, — ახალგაზრდობისათვის ახლა მოდურია ყოველგვარი გულსაბნევები, სარჭები, ტყავისა და ქსოვილის თასმებზე დაკიდებული სამკაულები.

...ჩვენს მხატვარ-მოდელიორებზე ბევრი რამის თქმა შეიძლება. მაღაზიებსა და სამხატვრო სალონებში ახლა დიდი არჩევანია. მაგრამ, გახსოვდეთ, ნუ იყიდით პირველსავე სამკაულს, ეძებეთ ისეთი, რომელიც მხოლოდ თქვენთვის არის შექმნილი.

პოეტ ვინოკუროვს აქვს ერთი ასეთი ლექსი „სხვადასხვაობა".

მე მინდა თვალი პატიოსანი მომწვანო-ლურჯი,
ისეთი, იისფერში რომ გადადიოდეს,
თქვენ კი მთავაზობ მომწვანო-იისფერს
გადასულს ნამდვილ ლურჯ ფერში!..
ეძებეთ თვალი ის უტოლფასო,
რომელიც მხოლოდ, თქვენთვის
შექმნილა.



**ნინელ ტრეიგერი**

იბეჭდება შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ჰანს როსლერი

## მისნობა

— ახალგაზრდა კაცი ქუჩაში ქალიშვილს გამოელაპარაკა:

— ბრიგიტა გქვიათ, არა?

— მომიტევეთ...

— ხომ ბრიგიტა ხართ?

— ბრიგიტა კი ვარ, მაგრამ თქვენ სრულებით არ გიცნობთ!

ყმაწვილკაცმა თვალებში ღრმად ჩახედა.

— არც მე გიცნობთ. დღეს პირველად გხედავთ, მაგრამ ვიცი, რომ ბრიგიტა გქვიათ.

— მერედა საიდან?

— მე სხვაც ბევრი რამ ვიცი თქვენზე, — განაგრძო ჭაბუკმა, — რომ გათხოვილი ხართ, თქვენს მეუღლეს ბრუნო ჰქვია და ბავშვები არა გყავთ. ხომ მართალია?

— ყველაფერი სინამდვილეა.

— გუშინ ბევრი სარეცხი გქონდათ და ეზოში გაფინეთ.

— აჰ, მეზობელი ყოფილხართ.

— არა, გეთაყვა, სწორი არ არის. პირველად ვარ ამ ქალაქში. დღეს დილას ჩამოვედი.

— მაშ ეს ყოველივე, საიდან შეიტყვეთ?

— ეს ჩემი დიდი საიდუმლოებაა. იმასაც მოგახსენებთ, რომ თქვენი ქმარი ფლემინგთან ერთად ბიუროში მუშაობს. ფლემინგი დაქორწინებულია. მისი მეუღლე ქერაა. ახლახან შლაპა შეიძინა, მაგრამ მაინცდამაინც არ უხდება.

— გასაგებია, ქალბატონ ფლემინგს იცნობთ.

— არა, არასოდეს მინახავს. მოდით, ისევ თქვენს ამბავს დავუბრუნდეთ. უკვე რვა წელიწადია გათხოვილი ხართ, გყავთ და, ერთ კაცს უნდა მისი ცოლად შერთვა, მაგრამ იგი საქმროს ხეირიანად ვერ იცნობს. დედათქვენმა სამი დღის წინათ წერილი მოგწერათ, გატყობინებდათ, ერთ კვირაში გეწვევითო.

— ღმერთო ჩემო, ეს ყველაფერი ჯადოქრობის საზღვარს სცილდება!

— დიახ, ჯადოქარი გახლავართ, — უპასუხა ყმაწვილკაცმა და სახეზე ღიმილი აუთამაშდა. — მაგრამ მე არ მინდა, ამ მისნურ უნარსა და შესაძლებლობას მარტო მე ვფლობდე. თუ გნებავთ, თქვენც გაგიზიარებთ.

— მერე უცხო ადამიანთა ცხოვრების ამბები მეც თქვენსავით მეცოდინება ხოლმე?

— ცხადია.

— მაშ გამიმხილეთ ეგ საიდუმლოება.

ყმაწვილკაცს სახე კვლავ ღიმილით გაებადრა და თითქმის ჩურჩულით უთხრა:

— წელან ავტობუსში თქვენს მეგობარ ქალს ისე ხმამაღლა ესაუბრებოდით, რომ მე ყველაფერი გარკვევით გავიგონე.

გერმანულიდან თარგმნა
**შ. ამირანაშვილმა.**



### პაბლო პიკასო — „მუსიკოსები“

მეოცე საუკუნის ბუმბერაზი მხატვარი, დაუოკებელი ტემპერამენტის, მაძიებელი სულის, პოეტური ბუნების შემოქმედი — პაბლო პიკასო ათეული წლების მანძილზე იქცევდა მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას.

როგორც ყველა ნოვატორის მიმართ, პიკასოს შემოქმედების მიმართაც ყოველთვის იყო აზრთა სხვადასხვაობა. ერთნი რომ იცავდნენ მისი შემოქმედების ყველა პერიოდს, მეორენი ცისფერსა და ვარდისფერ პერიოდს სცნობდნენ, მესამენი — მხოლოდ ომის თემაზე შექმნილ ნამუშევრებს, ხოლო მეოთხენი — საერთოდ უარყოფდნენ მის შემოქმედებას და მიიჩნევდნენ მას უკიდურეს ფორმალისტად. დავა პიკასოს შემოქმედების ირგვლივ მრავალი წელია მიმდინარეობს და ალბათ კვლავაც გაგრძელდება.

ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე იგი იდგა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა რიგებში მშვიდობის სადარაჯოზე.

საბჭოთა კავშირის მუზეუმებში დაცულია დიდი ესპანელი ხალხის შვილის, პიკასოს შესანიშნავი ტილოები ს. ი. შჩუკინის კოლექციიდან.

გთავაზობთ ფერწერულ ტილოს „მუსიკოსები“.

გარეკანის პირველ გვერდზე — ლიანა ისაკაძე, — დ. იაკ ობაშვილის სლაიდი; მეოთხეზე — პაბლო პიკასო — „მუსიკოსები“.

რედაქტორი
მარიკა ბარათაშვილი

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, ო. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ქვანია, პ. ქლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5/VII-82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/VIII-82 წ., ქაღალდის ზომა 60×1/3. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8. ტირაჟი 126.100. შეკვ. 1703. უე 13082.

„მივცეთ ბავშვებს დედამიწა!"

# ნორჩ მხატვართა ახალი კონკურსი



ძვირფასო ბავშვებო!

შესანიშნავი თურქი პოეტი ნაზიმ ჰიქმეთი ლექსში „ბავშვებს" ამბობს:

მივანდოთ ბავშვებს დედამიწა, ერთი დღით თუნდაც
მივცეთ ათასფრად მოხატული ეს დიდი ბურთი,
დაე, იმღერონ, ითამაშონ, რამდენიც უნდათ,
დე, ილაღობონ ჩართულებმა ვარსკვლავთა გუნდში.

გადავცეთ ბავშვებს დედამიწა, ვით დიდი ვაშლი,
გადავცეთ ბავშვებს დედამიწა, ვით დიდი პური,
რომ ერთხელ მაინც გავალაღოთ ქოველი ბავშვი,
რომ ერთ დღეს მაინც დანაყრდნენ და იხარონ გულით.

მივანდოთ ბავშვებს ეს ლამაზი, დიდი სამყარო,
თუნდაც ერთი დღით ჩავაბაროთ საკუთარ ხელით,
და ყველა ნახავს: ნდობას ძალუძს ქვეყნად ახაროს,
ბავშვების ხელით უკვდავებად დარგული ხენი.

საბჭოთა კომპოზიტორმა დავით ტუხმანოვმა კი ამ ლექსზე დაწერა სიმღერა, რომელიც პირველად გაისმა მოსკოვის დიდი თეატრის სცენიდან, ბავშვის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი კონფერენციის დღეებში. ეს სიმღერა ჩვენს ქვეყანაში შეიყვარეს დიდებმაც და პატარებმაც.

გთხოვთ ბავშვებო, ერთხელ კიდევ ჩაუკვირდეთ ამ ლექსს და ვიოცნებოთ! წარმოიდგინეთ მთელი დედამიწა თავისი ზღვებით, ოკეანეებით, მშვენიერი ტყეებით, გაუვალი ჯუნგლებით, მზისგან გადაბუგული უდაბნოებით და თვალუწვდენი მწვანე ველებით, მისი დიდი და პატარა ქალაქებით და სოფლებით, ერთი სიტყვით მთელი დედამიწა ჩრდილოეთიდან — სამხრეთ პოლუსამდე!

როგორ მოაწყობდით ცხოვრებას დედამიწაზე? როგორ გამოიყენებდით მისი წიაღების, მსოფლიო ოკეანისა და ერთობლივ სამყაროს სიმდიდრეებს?

გამოგვიგზავნეთ თქვენი ნამუშევარი. თქვენი ფანტაზიისათვის ხომ თვალუწვდენი სივრცეა გადაშლილი.

კონკურსის მონაწილე, რომელსაც მიეკუთვნება პირველი ადგილი, დაჯილდოვდება მოსკოვის ტურისტული საგზურით, ჟიურის მიერ აღნიშნული დანარჩენი ნამუშევრების ავტორებიც მიიღებენ სამახსოვრო დიპლომებს, საჩუქრებს, სუვენირებს. შერჩეული ნახატების ბეჭდვას ჩვენი ჟურნალი შეუდგება 1983 წლის დასაწყისიდან, ხოლო, როდესაც მოსკოვში გაიხსნება წიგნის მეოთხე საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობა, ეს სურათები მოთავსდება მის სპეციალურ სტენდებზე. ნახატებს ნახავს მილიონობით მოსკოველი და სსრ კავშირის დედაქალაქის სტუმარი.

ნამუშევრები გამოგზავნეთ 1983 წლის 5 იანვრამდე. ჩვენი მისამართი: 103764, ГСП СССР, Москва, Кузнецкий мост, 22, редакция журнала «Советская женщина».

კონვერტზე აღნიშნეთ:

«Конкурс детского рисунка».

ამრიგად, კონკურსი იწყება! ბავშვებო, ველით თქვენს ნამუშევრებს.

СОВЕТСКАЯ ЖЕНЩИНА
SOVIET WOMAN
المرأة السوفيتية
সোভিয়েত নারী
LANYOK ASSZONYOK
PHỤ NỮ LIÊN XÔ
LA MUJER SOVIÉTICA
苏联妇女
소련녀성
SOWJETFRAU
MULHER SOVIÉTICA
LA FEMME SOVIÉTIQUE
सोवियत नारी
ソビエト婦人

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.



ფასი 80 კაპ.

ინდექსი 76178